საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 22 ოქტომბერი. 2016 წ. №197 (8089), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲕᲪᲓᲔᲗ!

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲗᲣ ᲛᲔᲢᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ, ᲩᲕᲔᲜᲪ, ᲮᲐᲚᲮᲛᲐᲪ, ᲓᲦᲔᲡ, 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ — 30 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲪᲮᲐᲓᲝᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ!

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ!

ᲜᲣᲗᲣ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲐᲬᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲣᲠᲛᲐ ᲗᲐᲠᲔᲨᲛᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲭᲙᲣᲐ ᲕᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲡ?!

ᲜᲣ ᲓᲐᲒᲕᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲒᲐᲗᲘ ᲐᲑᲠᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲧᲝ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲙᲘ ᲡᲮᲕᲐ!

ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲕᲪᲓᲔᲗ, ᲜᲣᲦᲐᲠ ᲛᲝᲕᲢᲧᲣᲕᲓᲔᲑᲘᲗ!

ზაურ ნაჭყებია: ვის და რატომ „აშინებს“ საკონსტიტუციო უმრავლესობა?! ⑥

ხმა „ქართულ ოცნებას“ უნდა მივცეთ, მაგრამ შეუზღუდავი ძალაუფლებით გამოწვეული შესაძლო დიქტატურის შემაკავებელი ძალის ფორმირებაზე არჩევნების მეორე ტურის დამთავრებისთანავე უნდა ვიზრუნოთ!

დაიხსომეთ ეს სახელი – ⑫ დავით ხრიკული

ძველი სახელოსნოების ახალი სიცოცხლე ⑨

სიძველისადმი გრძნობა, პატივი...

ანზორ ბაბუხადია: „ომი დამთავრდა, ④ მშვიდობის (არ) გეშინოდეთ“ ხალხო!..

◎ სამეგრელო

ადრეანტიკური ხანის ნაქალაქარი ანაკლიაში

ანაკლიაში, მშენებარე პორტის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ორი ძლიერი კულტურული ფენა, რომელიც წმინდა კოლხურ ნამოსახლარს წარმოადგენს და ძვ. წ.აღ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება.

არქეოლოგიური კვლევაძიება ე.წ. ლაზიკის იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა. აღნიშნულ ექსპედიციას არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი ხელმძღვანელობდა. ზუგდიდის გამგეობის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსის ლაშა ჯიქიას ინფორმაციით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი 4 ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული.

„დაფიქსირდა ბათქაშებით წარმოდგენილი ძელურ-ბათქაშიანი შენობის ნანგრევები და სხვადასხვა არტეფაქტები, მათ შორის იმპორტული და ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი. მაგალითად, ამფორის პირგვერდი და ძირგვერდი, კოლხური სასმისი, ვაზისებური ჭურჭელი და სხვა“, — თქვა ლაშა ჯიქიამ.

ექსპედიციის მონაწილე არქეოლოგების ვარაუდით, პირველ ფენაზე არსებული ნაგებობები, რომლებიც სპეციალურად გაკეთებულ მკვრივ ყვითელ თიხატკეპნილზე მოზვინულ ფენაზე იყვნენ განლაგებული, გაურკვეველი მიზეზების გამო განადგურდა. ექსპედიციის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი დასახლება ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული არქეოლოგიური ობიექტია ენგურ-რიონის ორმდინარეთში, გამოკვეთილია „ციტადელით“, გარშემო თხრილით და მის მიღმა ვაკეზე გამართული საცხოვრებელი სახლებით.

„წარმოდგენილია 2 500 წლის წინანდელი ერთი კოლხური სოფლის, თუ ქალაქური ტიპის დასახლება, რომელიც ჩანს, რომ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულ სამყაროსთან“, —აცხადებენ ექსპედიციის მონაწილეები. აღმოჩენილი დასახლების მიმართ არქეოლოგების ინტერესს ის გარემოებაც ზრდის, რომ ის ზღვის სანაპიროდან 1 კმ-თაა დაშორებული, რაც იშვიათობას წარმოადგენს.

◎ კახეთი

ბოდბეში სამხედრო ავტომობილი ამოტრიალდა!..

გუშინ დედოფლისწყარო-სიღნაღი-თბილისის დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე, სოფელ ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე, „კამაზის“ მარკის სამხედრო ავტომობილი ამოტრიალდა, რომელშიც 20-მდე სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა. შედეგად 1 ჯარისკაცი ადგილზე გარდაიცვალა, 10-მდე მძიმედ დაშავებული სამხედრო კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა დედოფლისწაროს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც დედოფლისწაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკა ჯანიაშვილი აცხადებს, შემთხვევა გზის მოსახვევში მოხდა, სადაც მძღოლმა სავარაუდოდ საჭე ვერ დაიმორჩილა და ავტომობილი ამოტრიალდა.

გუშინ საღამოსვე შემთხვევის ადგილზე მივიდა თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲗᲐᲜᲐᲣᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ, ᲓᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲡ.

ლევან იზორია: „ღირსეული ერი არასდროს კარგავს ღირსებას“

საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებულ ბრიგადას დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე აღინიშნა. ბრიგადის პირად შემადგენლობას იუბილე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ მიულოცეს.

თავდაცვის მინისტრმა მეოთხე მექანიზებული ბრიგადის პირად შემადგენლობას მადლობა გადაუხადა სამსახურისთვის და მომავალ კარიერაში წარმატებები უსურვა.

„თქვენ მიიღეთ ღირსეული გადაწყვეტილება, ემსახუროთ თქვენს ქვეყანას და საჭიროების შემთხვევაში, თავიც კი გაწიროთ

მისთვის. თქვენნაირი ადამიანები და ვაჟკაცები ქმნიან ქვეყნის ღირსეულ სახეს. თქვენ ამით აგრძელებთ იმ დიდ ტრადიციებს, რომლებიც ჩვენმა თავდადებულმა წინაპრებმა დაგვიტოვეს. შეიძლება ადამიანებმა და ქვეყნებმა ბრძოლაში დაკარგონ ტერიტორიები, მაგრამ ღირსეული ერი არასდროს კარგავს ღირსებას. ეს ღირსება გვავალდებულებს ყოველთვის გვქონდეს მისწრაფება, აღვადგინოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყოთ ერთგულნი იმ თავდადებული გმირებისა, რომლებმაც ახლო წარსულში ღირსების, თავგანწირვის და თავდადების დიდებული მაგალითები გვიჩვენეს.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას გავაგრძელებთ და მათ დანატოვარს ვუერთგულებთ. თქვენ მთელი მსოფლიო გიცნობთ, როგორც ღირსეულ ჯარისკაცებს. მე სიამაყით ვისმენდი აშშ-ის ელჩის სიტყვებს ამ ტრიბუნიდან, როდესაც მან აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიოა თქვენს წინაშე ვალში და მთელმა მსოფლიომ იცის თუ როგორი ღირსეული პარტნიორები და თავგანწირული მებრძოლები ხართ.

სწორედ ამიტომ გაქვთ დიდი დაფასება და აღიარება არა მხოლოდ ჩვენგან, არამედ ჩვენი პარტნიორებისგანაც“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

საზეიმო ღონისძიება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. პირადმა შემადგენლობამ და მოწვეულმა სტუმრებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და საერთაშორისო მისიებში დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა მხრიდან გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, სამშობლოს წინაშე ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის და საქართველოს თავდაცვის განმტკიცების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, IV მექანიზებული ბრიგადის მეთაურისგან 70 სამხედრო მოსამსახურეს მადლობა გამოეცხადა.

IV მექანიზებული ბრიგადის იუბილეს საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობის სარდლები, სხვა მოწვეული სტუმრები და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებიც დაესწრნენ.

ცერემონიის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, მოწვეული სტუმრებისთვის ბრიგადის ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკის გამოფენა მოეწყო.

მსოფლიო ბანკი საქართველოს მთავრობას მხარდაჭერას უცხადებს

მსოფლიო ბანკი საქართველოს მთავრობას რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმის განხორციელების პროცესში მხარდაჭერას უცხადებს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის მერსი ტემბონის შეხვედრისას აღინიშნა.

მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა მთავრობის მეთაურს საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარება მიულოცა. შეხვედრისას ყურადღება დაეთმო ქვეყანაში უკვე მიმდინარე და დაგეგმილ სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებსაც მსოფლიო ბანკი დადებითად აფასებს და მზად არის, ამ მიმართულებით საქართველოს მხარდაჭერა მომავალშიც განაგრძოს.

მერსი ტემბონმა, მსოფლიო ბანკის სახელით, კმაყოფილება გამოთქვა ქვეყანაში ბიზნესის განვითარების მიმართულებით არსებულ მიღწევებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეს მიღწევები აისახება მსოფლიო ბანკის ჯგუფის ბიზნესის წარმოების ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა შეხვედრისას ასევე ხაზგასმით აღნიშნა ის მნიშვნელოვანი პროგრესი, რომელსაც საქართველომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სიღარიბის დაძლევის კუთხით მიაღწია. შეხვედრას საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი დაესწრო.

პრეზიდენტი ეუთოს მუდმივ წარმომადგენელს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ეუთოს მუდმივ წარმომადგენელს გიუნტერ ბეხლერს შეხვდა. გიორგი მარგველაშვილმა გიუნტერ ბეხლერთან შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ეუთოს როლის და ჩართულობის მნიშვნელობას საქართველოში მიმდინარე პროცესებში.

შეხვედრაზე შავი ზღვის რეგიონში შექმნილ ვითარებაზე, საქართველოს გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე, ქვეყანაში არჩევნების შემდგომ არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს. განსახილველ თემებს შორის იყო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უსაფრთხოების საკითხები და ასევე ჟენევის ფორმატის მიმდინარეობა.

როგორ დაკომპლექტდა აჭარის უმაღლესი საბჭო

აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ (უსკო) არჩევნების შედეგები შეაჯამა და მეორე ტურის თარიღი გამოაცხადა. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 163 419-მა ამომრჩეველმა, მიღებული ბიულეტენების რაოდენობამ კი როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარულ არჩევნებში შეადგინა 585 400. ბათილად იქნა ცნობილი 12 622 ბიულეტენი (7 212 მაჟორიტარული, 5 410 პროპორციული), რაც გამოყენებული ბიულეტენების დაახლოებით 4 %-ია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 8 ოქტომბრის პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით, 5%-იანი ბარიერი გადალახა ოთხმა საარჩევნო სუბიექტმა: „ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობა“ — 5.89%, რაც 1 მანდატია.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — 29.62% , რაც 5 მანდატს შეადგენს. დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი— საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ — 5.7%, რაც 1 მანდატია.

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ — 45.13, რაც 8 მანდატს შეადგენს.

რაც შეეხება მეორე ტურის თარიღს, უსკოს განკარგულებით, 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის თარიღად 30 ოქტომბერი გამოცხადდა.

დავით თარხან-მოურავმა უმაღლეს საბჭოში ადგილი ზაზა ოქუაშვილს დაუთმო

აჭარის უმაღლეს საბჭოში დავით თარხან-მოურავის ადგილს „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი დაიკავებს.

ამის შესახებ პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში განაცხადა.

„მე არ შევდივარ აჭარის უმაღლეს საბჭოში. საბჭოში შესვლას აზრი ჰქონდა, როგორც მე ვამბობდი, 8 კაცით. ახლა ერთი კაცით რომ შევიდე, მე ვერ ვხედავ ამაში რამე სარგებელს. ზაზა ოქუაშვილი შევა. სწორედ იმიტომაც გააკეთეს ისე, რომ ბოლო-ბოლო ერთი კაცი შესულიყო, რომ მას არაფრის ძალა არ ჰქონოდა იქ“, — განაცხადა დავით თარხან-მოურავმა.

რუსულ-ქართული ბიზნეს-ფორუმი

ინფორმაციას პრემიერ მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე ადასტურებს.

აბაშიძემ განცხადება პრაღიდან დაბრუნების შემდეგ გააკეთა. მან გრიგორი კარასინთან მიმდინარე წლის ბოლო შეხვედრაზე განხილულ საკითხებზე ისაუბრა და დაადასტურა, რომ უახლეს თვეებში თბილისში რუსულ-ქართული ბიზნეს-ფორუმი გაიმართება, რომლის ინიციატორიც რუსული მხარეა.

ზურაბ აბაშიძის თქმით, იგეგმება რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის კიდევ უფრო გამარტივება. პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა ასევე შეაფასა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამართულ შეხვედრაზე გავრცელებული განცხადება, სადაც საპარლამენტო არჩევნებზეც არის საუბარი.

დიალოგი აუცილებელია

აბაშიძე კარასინის შეხვედრის დასრულების შემდეგ განცხადებები კეთდება პოლიტიკურ პარტიებში. ქართულ ოცნებაში აცხადებენ, რომ ოკუპაცია აფერხებს ეკონომიკისა თუ ჰუმანიტარული მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებას, თუმცა, გია ვოლსკი თვლის ,რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია.

„ეკონომიკის, სოციალური ურთიერთობების გაღრმავება გაფართოება ან ინტესიფიკაცია არის დამოკიდებული ორივე მხარის კეთილ ნებაზე, მაგრამ ყველაფერს ამას ჩარჩოში აქცევს, წითელ ხაზებს ავლებს ოკუპაციის საკითხი, თუმცა ურთიერთობების გაფართოება თუ განმტკიცება, მათ შორის ეკონომიკურის, ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ჩვენ მომავალში ასე თუ ისე მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადავწყვიტოთ უამრავი პოლიტიკური თემა,“ — აცხადებს გია ვოლსკი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თავისი წესდების მე-10 თავის შესაბამისად, აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატების ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

სპეციალობა	ვაკანსია
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
მათემატიკა, ფიზიკა	1
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	
გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია	1
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	
გამოყენებითი მექანიკა - კატასტროფების რისკის კვლევა	1
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები	1
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
ბიოლოგია	1
ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	
ფიზიოლოგია	1
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
აგროტექნოლოგია, აგროინჟინერია	1
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია	1
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
ენა, ლიტერატურა	1

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატად შეიძლება არჩეულ იქნეს მეცნიერებათა დოქტორის, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია, არის საქართველოს მოქალაქე და მოღვაწეობს საქართველოში.

სტიპენდიატობის კანდიდატთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 50 წელს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატობის კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ეგზემპლარად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების) წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების ბეჭდით, სადაც წარმდგენი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4x6, უმაღლესი განათლების, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის, მეცნიერებათა დოქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი საბუთების ასლები, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ვარსკვლავით აღნიშვნით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება.

კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან მისი საქართველოში მოღვაწეობის შესახებ.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსებულ იქნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე www.science.org.ge, რისთვისაც წარდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს მისი ელექტრონული ვერსიაც.

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისათვის იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2016 წლის 24 ოქტომბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (კადრების სამსახური, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 2-93-29-86). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე. კადრების სამსახური საბუთებს შემდგომი რეგისტრაციისათვის გადასცემს აკადემიის კანცელარიას.

შენიშვნა: *სხვა საჭირო ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აკადემიის კადრების სამსახურში*

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ირაკლი ჟორდანია,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი

◎ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

თამარ დრაგაძე:

მეორე შანსი დიდ ბრიტანეთისთვის

გაზეთის გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, რომ 20 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ აკადემიაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოწვევით, ლონდონში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე, პროფესორი თამარ დრაგაძე დამსწრეთა წინაშე ბრექსითის თემაზე უაღრესად აქტუალური მოხსენებით წარსდგა. ამჟამად გვინდა ამ მეტად საგულისხმო მოხსენების შესახებ — „გაერთიანებული სამეფოს — დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მიზეზები“, რომელიც ქალბატონმა თამარ დრაგაძემ პირველად ლონდონში ლორდთა პალატაში წაიკითხა, უფრო ვრცლად ვილაპარაკოთ.

მოხსენებაში მეცნიერულადაა გაანალიზებული იმ მოვლენათა დინამიკა, რომლებმაც ხელი შეუწყო ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლასთან დაკავშირებით ფართომასშტაბიან პროპაგანდისტულ კამპანიას — „Leave Compaign“ („წასვლის კომპანიას“). ამ დროს აქტიურად იქნა გამოყენებული ფსევდოეროვნული მოწოდებები, რომლებსაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მხარი დაუჭირა. „წასვლის კამპანიამ“ ევროკავშირის გაუცხოების იმიჯი შექმნა და ქვეყანაში არსებული ყველა სირთულე მას მიაწერა. კერძოდ, გაერთიანების საწევრო გადასახადი... დამპყრობლისთვის ხარკის მიცემად წარმოაჩინეს. ამასთან, კამპანიის სულისჩამდგმელები აცხადებენ, რომ თუკი საწევროს თანხა (კვირაში 344 მილიონი გირვანქა სტერლინგი) ისევ ქვეყანაში დარჩებოდა, ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მოხმარდებოდა. გარდა ამისა, ევროკავშირის მცდარ პოლიტიკას აბრალებდნენ დიდ ბრიტანეთში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მიგრანტების მოზღვავებასაც.

სინამდვილე კი ის იყო, რომ გაერთიანებულ სამეფოს ევროკავშირში ძალიან ძლიერი პოზიციები ჰქონდა დამკვიდრებული, მათ შორის, პირველ ყოვლისა, ეკონომიკაში. ორ ათასზე მეტი კანონი, რომელიც უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავს, დიდი ბრიტანეთის თანხმობით იქნა მიღებული, მისი მხარდაჭერა კი მხოლოდ 53-ს არ ჰქონდა.

მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი ისაა, რომ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების დროიდან — 2016 წლის 24 ივნისის 19 საათისა და 11 წუთიდან — ზუსტად ხუთ წუთში, ანუ 19 საათსა და 16 წუთზე, „წასვლის კამპანიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნაიჯელ ფარაშმა, პროპაგანდისტულად ყველაზე მომხიბლავი სატყუარა — „345 მილიონი გირვანქა სტერლინგი ჯანდაცვას ევროკავშირის სანაცვლოდ“ — ...შეცდომად გამოაცხადა და ბოდიში მოიხადა(?!). აქედან მოყოლებული, მარტო პირველ კვირაში ქვეყანაში შვიდ ათასზე მეტი რასისტული ინციდენტი მოხდა.

რეფერენდუმის შემდეგ ხელისუფლებას სათავეში ახალი ლიდერები — კონსერვატორები ჩაუდგნენ. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რომლის აქტივისტია ქალბატონი თამარ დრაგაძე, მიიჩნევს, რომ ახალი მთავრობა ელექტორატის მიერ არჩეული არ არის, ამიტომაც ბრექსითის ანუ „ბრიტანეთის გასვლის“ საკითხი და პროცედურული პირობები პარლამენტმა უნდა განიხილოს.

პროფესორ თამარ დრაგაძის აზრით, ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გაუსვლელობის ერთადერთ იმედად ქვეყანაში ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება რჩება, რაც მოსახლეობას მეორე შანსს მისცემდა.

ოთარ ტურაბელიძე

„აწარმოე საქართველოში“

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი შპს „LG Glass“-ის განახლებული საწარმოს მუშაობას გაეცნო.

შპს „LG Glass“-ი, რომლის ძირითად საქმიანობასაც მინაპაკეტის წარმოება წარმოადგენს, ბუნებრივი ქვის მოპოვებასა და გადამუშავებას იწყებს. სწორედ მოცემული მიმართულების განვითარებისათვის კომპანიამ წარმოებისათვის საჭირო ძირითადი საშუალებები შეიძინა და წარმოების ზრდას გეგმავს.

შპს „LG Glass“ წარმატებით ახორციელებს მინის თერმულ დამუშავებას, კერამიკულ დაფარვას, ალუმინისა და მეტალოპასტმასის ნებისმიერი სახის ვიტრაჟების მოხატვას, ფანჯრების, კარების და სხვა სამშენებლო კონსტრუქციების აწყობასა მონტაჟს. პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, თუკი ადრე მსგავსი პროდუქცია მხოლოდ უცხოეთიდან შემოდიოდა, დღეს მისი წარმოება ადგილზე არის შესაძლებელი. კომპანიაში ამჟამად 40 ადამიანია დასაქმებული.

შპს „LG Glass“-ი პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას მეწარმეობის განვითარების სააგენტო განახორციელებს, ხოლო სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 2 550 000 აშშ დოლარს შეადგენს.

◎ უპრეცედენტო შემთხვევა

ყირგიზეთში კონსტიტუცია დაკარგეს

უპრეცედენტო შემთხვევა ყირგიზეთში. ქვეყნის პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე მსჯელობას იწყებს, თუმცა როგორც ირკვევა, კონსტიტუციის ტექსტის ორიგინალი გაუჩინარდა. დოკუმენტი ვერც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და ვერც სხვა სახელმწიფო ორგანოებში იპოვეს. ამის გამო დღის წესრიგში ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი დადგა. დეპუტატ ალმამბეტ შიკმამატოვის განმარტებით, თუ კონსტიტუცია არ არსებობს, ხელისუფლებაც არალეგიტიმურია.

„ომი დამთავრდა, მშვიდობის (არ) გეშინოდეთ“ ხალხო!..

ღია წერილი ხელისუფლებას



ახალი საპარლამენტო არჩევნები მეტწილად მშვიდობით ჩატარდა. **როგორც მთავრობის ყოფილი მთავარი სახელმწიფო მრჩეველი და ყოველგვარი პარტიულობისგან თავისუფალი პიროვნება, გავკადნიერდები და პირდაპირ საქმეზე გადავალ, ანუ მოგახსენებთ ჩემს რამდენიმე პოზიციას (რჩევას) ქვეყნის მომავალი მოწყობის რამდენიმე გადაუდებელი პრობლემის თაობაზე, რათა არ გამართლდეს ზოგიერთების „წინათგრძნობა“, რომ ქვეყნის მართვის ერთპარტიული სისტემა საშიშია და ქვეყანას აუცილებლად დაღმასვლა ელოდება.**

ბედნიერი იქნება ქვეყანა, თუ ზოგიერთი „კეთილმოსურნის“ ამ ოცნებას მისაღები მეთოდებით, ჩანასახშივე ჩაკლავთ და ქვეყნის მართვას განახორციელებთ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი და არა კორპორატიულ-მერკანტილური ინტერესების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე გირჩევთ:

* * *

ჩვენი სამი წმინდა ხატება — **მამული, ენა, სარწმუნოება** გაიხადოთ თქვენს მთავარ საზრუნავად. მით უმეტეს, რომ მისი მოვლა-პატრონობის აუცილებლობა სათანადოდ არ არის წარმოდგენილი არც ერთი პოლიტიკური პარტიის პროგრამაში.

— **მამულის** გადარჩენის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად გაიხადეთ თავდაცვისუნარიანობის ამაღლება ან ეგრეთ წოდებული „უბლოკო სტატუსის“ პროექტის რეალიზაცია, რისთვისაც, ალბათ აუცილებელი იქნება საყოველთაო რეფერენდუმის გამართვა. ამ პრობლემის მოგვარება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთ სერიოზულ წინაპირობად და წინგადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია;

— **ქართული ენის** როგორც ერის და სახელმწიფოს იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელის გადარჩენა-აღორძინების უპირველეს მიმართულებად მიგვაჩნია თავის დროზე, ჩვენი მონაწილეობით შექმნილი დედაენის საზოგადოების უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე უმკაცრესი სახელმწიფო კონტროლის დაწესება და მაქსიმალური ხელშეწყობა და „საქართველოს კანონის რეკლამის შესახებ“ მოთხოვნათა უცილობელი აღსრულება;

— **მართლმადიდებლური სარწმუნოების** შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად გვესახება მისი ავტორიტეტისა და გავლენის გამოყენება ერის უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. იმის გათვალისწინებით, რომ დემოგრაფის საკითხზე დეტალური მსჯელობა სცილდება საგაზეთო ღია წერილის ფორმატს, მზად ვარ თქვენი დაინტერესების შემთხვევაში, სათანადო ნორმების დაცვით, განსახილველად წარმოგიდგინოთ შესაბამისი კონკრეტული წინადადებები.

* * *

უმწვავეს და ძალზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნების შემდგომი სრულყოფის, უფრო ზუსტად, მისი რადიკალური ცვლილებების აუცილებლობა. რამდენადაც არარეალურად არ უნდა ჩამითვალოთ, მიგვაჩნია:

— აუცილებელია, დაიხვეწოს პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემა და იგი ძირითადად ჩატარდეს მაჟორიტარული არჩევნების მოთხოვნათა დაცვით. ანუ, ამომრჩეველმა ხმა მისცეს მისთვის სასურველ და მისაღებ ფიზიკურ პირს (პიროვნებას) და არა, რომელიღაც პარტიის თავმჯდომარის მიერ შედგენილ სიას, რომლის წევრებს საერთოდ არც კი იცნობს ამომრჩეველი.

— პარლამენტის წევრები არ უნდა იყვნენ ფულით გაზულუქებული, ზოგჯერ წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანები, რომელთაც ყველა ეკონომიკური პრობლემა მოგვარებული აქვთ და ახლა კარიერისა და დეპუტატის იმუნიტეტისთვის იბრძვიან;

— პარლამენტის წევრების შერჩევის კრიტერიუმი, პირადი ერთგულება და მატერიალური მდგომარეობა კი არ უნდა იყოს, არამედ ის, თუ ქვეყნის სასიკეთოდ რის გაკეთებას შეძლებს მომავალი პარლამენტარი;

— თუ გვინდა, რომ პარლამენტში მოხვედრისადმი გაფეტიშებული დამოკიდებულება შეიცვალოს და იქ მოხვდნენ განსწავლული და კანონპროექტზე მომუშავე მაღალი დონის სპეციალისტები, მაშინ პარლამენტარებს უნდა მოეხსნათ ყოველგვარი იმუნიტეტი და ნებისმიერი ფინანსური დანამატები დანიშნოთ, მხოლოდ და მხოლოდ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

— მივესალმები, თუ საქართველოს პარლამენტი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად დააყენებს საკითხს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ყოველგვარი საქმიანობის დაფინანსების აკრძალვის თაობაზე;

— არ შეიძლება ვენდოთ ისეთ ეგრეთ წოდებულ პოლიტიკოსს, რომელმაც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად, პარტიულ სიაში გამსვლელი ადგილის მოპოვებისთვის ქრთამი გადაიხადა. დიახ, დიახ, ქრთამი გადაიხადა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით;

— საარჩევნო კანონმდებლობა ისე უნდა შეიცვალოს, რომ მომავალში გამოირიცხოს ის ამაზრზენი შედეგები, რომლებთანაც დღეს გვაქვს საქმე. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ფულიან და უფულო კანდიდატს უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებების გამოყენების თანაბარი შესაძლებლობები!

თითოეული ეს მოთხოვნა ვრცლად და არგუმენტირებულად გვაქვს დასაბუთებული ჩვენს ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში, მაგრამ მათ იგნორირებას უკეთებდა და უკეთებს ყველა პარტია და ეგრეთ წოდებული გრანტიჭამია არასამთავრობო ორგანიზაცია. რატომ? იმიტომ, რომ მათთვის ხელსაყრელია და ხელეწიფებათ „მღვრიე წყალში თევზის ჭერა“.

* * *

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველსავე დღეებში ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დონეზე დაერქვა ყოვლად გაუმართლებელი სახელი „ჯორჯია“. იმ პერიოდში საქართველოს მთავრობაში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მომიწია საქმიანობა, მაგრამ სერიოზულმა მცდელობამ, რომ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დონეზეც დარქმეოდა მისი საამაყო და ღირსეული სახელი „საქართველო“, შედეგი ვერ გამოიღო.

თქვენთვის ადვილი წარმოსადგენია, რა ჯაფა და ენერგია მოვახმარე თუნდაც იმას, რომ საარქივო მასალების მოთხოვნათა დონეზე, შემეგროვებინა უნიკალური დოკუმენტები, სადაც, ნათლად ჩანს ერის ღირსეულ შვილთა, უამრავი უწყების, ორგანიზაცია-დაწესებულების, საგვარეულოთა წინამძღოლებისა და სხვათა დამოკიდებულება ეროვნული მნიშვნელობის ამ პრობლემისადმი. ცხადია, ამის შემდეგ იბადება კითხვა — თუ ეს მართლაც ასეა, მაშ რატომ ჭიანურდება ამ უდიდესი მნიშვნელობის პრობლემის, და რაც მთავარია, კონსტიტუციით დაკანონებული სახელწოდების — „საქართველოს“ დამკვიდრება საერთაშორისო დონეზე?

პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ მისი გადაწყვეტა არავითარ სერიოზულ სირთულესთან არ არის დაკავშირებული, ყოფილმა პრემიერმა ღარიბაშვილმა, მოქმედმა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა და, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ჯანელიძე, ზალკანიანი) ამ პრობლემის მოგვარებისადმი გამომამჟღავნეს აბსოლუტურად არაადეკვატური დამოკიდებულება!

იმედია, ახლადარჩეული პარლამენტი და დამტკიცებული მთავრობა საღი თვალით შეხედავენ ამ პრობლემას და მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელიც წინააღმდეგობაში აღარ მოვა საქართველოს კონსტიტუციასთან.

* * *

— აუცილებელია, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისულებაში, მართვის ბერკეტებს ფლობდნენ გამოცდილი, ჭკუადამჯდარი პროფესიონალი პიროვნებები. ჩვენი თუ არ გჯერათ, შეგახსენებთ დიდი ინგლისელი მწერლის სომერსეტ მოემის მხოლოდ ერთ გამონათქვამს: **„როცა კაცი იმ ასაკს აღწევს, რომ უკვე ვეღარ იმსახურებს მოხელედ, მებაღედ, ან პოლიციელად, ის უკვე მომწიფებულია საიმისოდ, რომ თავისი ქვეყნის ბედ-იღბალს განაგებდეს“.**

* * *

ვფიქრობ, თქვენი განსაკუთრებული განსჯის საგანი უნდა გახდეს აგრეთვე გარემოს დაცვის და გამწვანების, თბილისში საავტომობილო საცობების შემსუბუქების, ნარკომანიასთან ბრძოლის ფორმების რადიკალურად შეცვლა.

* * *

ძალზე დიდი და უსერიოზულესი პრობლემა გადაწყდება თუ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია გადაეცემა საქართველოს საპატრიარქოს. ამასთან, სამების კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია უნდა განთავისუფლდეს ამორტიზებული სახლების, სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების ათასი ჯურის სიმახინჯეებისგან, რათა ეს სივრცე გადაიქცეს თვალწარმტაც ბაღნარად და მინი-ქალაქად დედაქალაქის ცენტრში, რომელიც შინაურსა და სტუმარს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის, თუ რას ნიშნავს საქართველოში მართლმადიდებლობა და ქართული ეკლესია.

ჩვენი პოზიციების დასაცავად, მზად გახლავართ, რამდენჯერაც საჭირო გახდება, პირისპირ შევხვდე ხელისუფლების ნებისმიერი დონის წარამომადგენელს ან მათთან ერთად, მონაწილეობა მივიღო სათანადო სატელევიზიო დებატებში.

P. S. სხვადასხვა დონის შეხვედრებზე, შინ თუ გარეთ, როგორც ეკონომისტს და ქართული სასმელი წლის საექსპორტო თემასთან გარკვეულად საქმის კურსში მყოფ პიროვნებას, ხშირად მეკითხებიან: როდის დაადგება საშველი პროფესორ პაატა გიორგაძის პროექტის ანუ ქართული სასმელი წყლის პროგრამის ხორცშესხმას? ჩვენი პასუხი ამ ურთულეს თემასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანია და ასე ჟღერს — ძალიან მალე, მას შემდეგ, როცა ქვეყნის ხელისუფლება მიიღებს სახელმწიფოებრივად გამართლებულ და არაკორპორატიულ-მერკანტილური პოზიციებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებას. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ქვეყანამ სასმელი წყალი უცხოეთში უნდა გაიტანოს მხოლოდ საქართველოში დაფასოებული (ბოთლებში ჩამოსხმული) და არა როგორც მაგისტრალური მილებით გადატვირთული დაუმუშავებელი ნედლეული!..

ანზორ ბაბუხადია,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.

ზარმაცი და აქტიური მაჟორიტარი

მერვე **მოწვევის პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით 73 მაჟორიტარი დეპუტატიდან მხოლოდ 36-მა ისარგებლა, — ამის შესახებ ნათქვამია „სამართლიანი არჩევნების“ ანგარიშში, რომელიც საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრების საქმიანობას ეხება.**

პარლამენტის მიერ ორგანიზაციისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატების ინიციატივით წარდგენილია 331 კანონპროექტი.

აღნიშნული პროექტების წარდგენაში მაჟორიტარი დეპუტატებიდან მონაწილეობდა მხოლოდ 36 დეპუტატი. 6 კანონპროექტი წარდგენილია კოლექტიურად, 46-დან 80-მდე წევრის მონაწილეობით, 37 მაჟორიტარ დეპუტატს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილება საერთოდ არ გამოუყენებია.

„საქართველოს პარლამენტის წევრის, მათ შორის მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის ძირითადი მიმართულება საკანონმდებლო საქმიანობაა. ამასთან, საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტის წევრის კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. მაჟორიტარი დეპუტატების საკანონმდებლო ინიციატივების სიხშირე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ვინაიდან, მათ ამომრჩევლებთან კომუნიკაციისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვთ დამატებითი ფინანსები. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მაჟორიტარი დეპუტატები ყველაზე მეტად უნდა იყვნენ ინფორმირებული მოქალაქეების საჭიროებების თაობაზე და შესაბამისად, მათ ეფექტური საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენის გზით შეუძლიათ, რეაგირება მოახდინონ ამომრჩევლების წინაშე მდგარ გამოწვევებზე“, — აცხადებენ „სამართლიან არჩევნებში“.

„მორიგი სპეკულაციები“

საკონსტიტუციო **სასამართლოსა და არჩეული თავმჯდომარის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას ოპონენტების პოლიტიკურ სპეკულაციად აფასებს თავდაცვის მინისტრი.** ლევან იზორია ამბობს, რომ კოლეგიამ თავად მიიღო დამოუკიდებლად გადაწყვეტილება, თუ ვინ უნდა აერჩია. მისივე თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო არის დამოუკიდებელი ინსტიტუცია და არ არის ხელისუფლების გავლენის ქვეშ.

„ეს არის მორიგი სპეკულაციები და ბუნებრივია, არჩევნები ტარდებოდა იმ პროცედურების დაცვით, რასაც კანონი ითვალისწინებს. პლენუმმა მიიღო თავისი გადაწყვეტილება, შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას სჭირდება აღიარება. ასე რომ ამაში სპეკულაციების საფუძველს ნუღარ ვეძებთ,“ — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

მჩქეფარე ცხოვრების დიდი გზა

სიტყვა ჩვენს მეგობარ პეტრე ბერაიაზე

პეტრე ბერაია დაიბადა 1946 წლის 24 ოქტომბერს ზღვისპირა ქალაქ ფოთში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის საზღვაო საინჟინრო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა საზღვაო ტრანსპორტის ინჟინერ-ეკონომისტისა და საზღვაო ტრანსპორტის ექსპლოატაციის ინჟინრის სპეციალობებით, მისი ცხოვრების სასწავლო, შრომითი სამეურნეო და პოლიტიკური მოღვაწეობის გზა ყველა პერიოდში უშუალო კავშირშია საზღვაო საქმიანობასთან, რომელიც მან განვლო რიგითი მეზღვაურიდან ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსამდე, სხვადასხვა დროს მუშაობდა ნავსადგურის მეზღვაურად, ნავსადგურის პირველი საწარმოო რაიონის სამუშაოთა მწარმოებლად, უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, ქ. ფოთის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შორეული ცურვის გემებზე – „გორი“, „თბილისი“, „ქუთაისი“, კაპიტნის პირველ თანაშემწედ, ფოთის ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივნად, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის განყოფილების გამგედ, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსად, 1993 წლიდან საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის მრჩეველია საზღვაო საკითხებში. 1994 წელს ქ. ფოთში ჩამოაყალიბა სავაჭრო-სამრეწველო პალატა, სადაც არჩეული იყო პრეზიდენტად, ხოლო შემდეგ საპატიო პრეზიდენტად.

1995 და 1999 წლებიდან მოყოლებული ქალაქის მოსახლეობის რჩეულია, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრად და მაჟორიტარი დეპუტატების საპარლამენტო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარედ, ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრად, შავი ზღვის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის წევრად, დიდ ბრიტანეთში საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო და საპარლამენტთაშორისო დელეგაციის წევრად.

ყოველივე ამან არსებითად განსაზღვრა მისი მეცნიერული ინტერესთა სფერო – საზღვაო ტრანსპორტი და აქ არსებული ეკონომიკური პრობლემები. პეტრე ბერაიას მოღვაწეობაში ნაყოფიერად არის გადაჯაჭვული სამეურნეო, პოლიტიკური და სამეცნიერო საქმიანობა, ის არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, სადაც გარდამავალ პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის აქტუალური პრობლემებია განხილული, მისი როგორც საქართველოს პარლამენტის საზვაო საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, უშუალო ხელმძღვანელობით და თანაავტორობით, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ქვეყნის საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზა. მიღებული იქნა „საზღვაო კოდექსი“ საქართველოს კანონები „საზღვაო სივრცის შესახებ“, ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ საქართველოს დაკანონებული არ ჰქონდა საზღვაო საზღვრები არც თურქეთთან, არც რუსეთთან, არ იყო განსაზღვრული კონტინენტალური შელფი, ეკონომიკური ზონა, ასევე კანონი „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“, „საზღვაო სამაშველო სამსახურის შესახებ“. მისი როგორც ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის პირადი უშუალო ინიციატივით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები და ქ. ფოთს დაუკანონდა სანავსადგურო მოსაკრები (ნ. ნიკოლაძის მაშინდელი 1894 წელს საფუთე გადასახადის მსგავსად), რომლითაც ქალაქის ბიუჯეტი, 1996 წლიდან მოყოლებული, 2993 წლამდე დამატებით ღებულობდა მილიონ ნახევარ ლარს, რაც ხმარდებოდა საზღვაო ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ბატონი პეტრე საზღვაო ტრანსპორტისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ის არის ქ. ფოთის საპატიო მოქალაქე, არჩეული იყო საზოგადოება „კუს ტბის“ გამგეობის თავმჯდომარედ, ბატონ პეტრეს, ჩვენი მეგობრობის მაესტროს, სულითა და გულით ყოველმხრივ ინტელიგენტს შეუსრულდა 70 წელი. საამაყო ოჯახთან ერთად, ქალბატონ დალისთან, შვილებთან ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებსა და სიმრავლეს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ, ბატონო პეტრე.

ოთარ კვესიტაძე, დემურ გადელია, ამირან გამყრელიძე, ელიზბარ ლომინაძე, ვიტალი ხაზარაძე, გია ციხისთავი, საველი მარგველაშვილი, თემურ კალანდაძე, გესიკ კილასონია, ილია ჭანუყვაძე, თემურ გოცაძე, ოთარ ზუმბურიძე, ტარიელ ღვაბერიძე, სპარტაკ ქოგულია, რუსლან რუსია, გურამ გოგიაშვილი.

კონსერვატორიის რექტორი კვლავ რევაზ კიკნაძე იქნება

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში არჩევნები დასრულდა. რექტორი კვლავ რევაზ კიკნაძე გახდა. არჩევნებში ორი კანდიდატი მონაწილეობდა. მოქმედი რექტორი და ასოცირებული პროფესორი მაია მშვილდაძე. კანდიდატებმა აკადემიური საბჭოს წინაშე საკუთარი საარჩევნო პროგრამები წარადგინეს, თუმცა ფარული კენჭისყრის წინ მშვილდაძემ არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. კონსერვატორიის რექტორის თანამდებობაზე რეზო კიკნაძე ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაინიშნა.

გამოჩენილი ენერგეტიკოსი

მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს, ჩვენს კოლეგას, გამოჩენილ ენეგეტიკოსს, ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ **ლევან მებონიას** ლამაზი საიუბილეო თარიღი 60 წელი შეუსრულდა!

ბატონ ლევან მებონიას უპრეცედენტოდ რთულ პირობებში მოუწია მუშაობა, საქართველოს ელექტროსადგურების ფლაგმანზე – ენგურჰესზე, როგორც ტექნიკურად, ასევე პოლიტიკურად.

ბატონი ლევან მებონია დაიბადა 1956 წლის 23 ოქტომბერს სამეგრელოს ულამაზეს წალენჯიხაში, 1978 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაციით. ახალგაზრდა ინჟინერი გაანაწილეს მშენებარე ენგურჰესზე ელექტროსაამქროს ინჟინრად, სადაც მან 1979 წლამდე იმუშავა. ეს პერიოდი საბედნიეროდ, კარგად დაემთხვა ენგურჰესზე სამი 260 მვტ სიმძლავრის აგრეგატის გაშვებას. ამ თანამდებობაზე ბატონმა ლევანმა თავიდანვე საუკეთესო გამოცდილება მიიღო.

1981წ. ახალგაზრდა, პერსპექტიულ ინჟინერს ნიშნავენ ელექტრული ლაბორატორიის უფროსად, აქ მან 3 წელი დაყო და მას კვლავ აწინაურებენ ენგურჰესის კასკადის უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე – საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად. ამ პერიოდში ენგურჰესზე უკვე ხუთივე აგრეგატი მუშაობს და ამიერკავკასიის ერთ-ერთი უმძლავრესი ელექტროსადგური მთელი სიმძლავრით - 1300 მვტ-ით მუშაობს და საქართველოს ენერგოსისტემამ მკვეთრად გაზარდა როგორც ელექტროენერგიით მზარდი მომხმარებლის მოთხოვნილება, ასევე ენერგოსისტემის მდგრადობის იმედიანობა.

1984-1991წ. ბატონ ლევანს მუშაობა მოუწია ენგურჰესის კასკადის მთავარი ინჟინერის მოადგილედ, ხოლო 1992 წელს მას ნიშნავენ ჰესის მთავარ ინჟინრად. ეს ქვეყნისათვის უმძიმესი პერიოდია, როდესაც ქვეყანა აფხაზეთში ომის ქარცეცხლშია გახვეული და ამ დროს ენგურჰესს თავისი ტექნიკური პარამეტრებით მუშაობა შეუძლია მხოლოდ კონფლიქტში ჩაბმული ორივე მხარის თანხმობით და ჰესის ხელმძღვანელობა, და მთელი კოლექტივი, მათ შორის ბატონი ლევანის მონაწილეობითაც, თავს ართმევს ამ ურთულეს ვითარებას და ჰესი თითქმის შეუფერხებელად აწვდის ელექტროენერგიას მომხმარებელს.

დღეს ენგურჰესის სასახელო კოლექტივი ბატონი ლევანის ხელმძღვანელობით წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ უდიდეს მოვალეობებს და გულმოდგინედ ემსახურება სამშობლოს.

ბატონი ლევანი 2001 წლიდან დაინიშნა ენგურჰესის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად, 2002-2003წწ. ენგურჰესის დირექტორია, ხოლო 2005 წლიდან შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ლევანი თავისი სანაქებო ადამიანური თვისებებით გამოირჩევა – თავმდაბლობით, სიკეთით, დიდი ორგანიზატორული ნიჭით და საუკეთესო მოქალაქეობრივი ვალდებულებებით, დაჯილდოებულია მრავალი ჯილდოთი, მათ შორის ვახტანგ გორგასლის და „ღირსების ორდენით“, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება, იგი წარმატებით ეწევა აგრეთვე სამეცნიერო მოღვაწეობას – არის ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დოქტორანტი, არის ცნობილი ექსპერტი, რისთვისაც მას ხშირად იწვევენ სხვადასხვა ქვეყნებში.

ბატონ ლევანს ჰყავს სამი შვილი და ორი შვილიშვილი – უფალმა ამრავლოთ!

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემია, საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი, დიდი პატივისცემითა და მომავლის იმედით, ვულოცავთ ჩვენს სახელოვან კოლეგას, გამოჩენილ ენერგეტიკოსს ლამაზ საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 60 წელს და ვუსურვებთ შემდგომ დიდ გამარჯვებებს სამშობლოს საკეთილდღეოდ!

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

ფერმერებმა ჰოლანდიაში სასწავლო კურსი გაიარეს

სოფლის **მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და ვაგენინგენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების სამეფო) ერთობლივი პროექტის „საქართველოში ხილის წარმოების ჯაჭვის გაუმჯობესება“ ფარგლებში, ქართველმა ფერმერებმა და კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა ვაგენინგენის უნივერსიტეტში მეხილეობის დარგში ერთკვირიანი სასწავლო კურსი გაიარეს.**

აღნიშნული პროექტი საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოში მეხილე ფერმერებისთვის სასწავლო კურსის გავლას ითვალისწინებს, რომლის პირველი ეტაპიც მიმდინარე წლის ივნისში, საქართველოში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე განხორციელდა. სასწავლო კურსის მონაწილეები ვაგენინგენის უნივერსიტეტში ხილის მოყვანის მიმართულებით არსებულ მსოფლიო გამოცდილებას და თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლოგიებს გაეცნენ; ინტენსიური ბაღის გაშენება-მოვლის მეთოდების, ნიადაგის დამუშავების, ხეხილის ახალი ჯიშების, სხვლა-ფორმირებისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის მიმართულებით პრაქტიკული სწავლება გაიარეს და სალექციო კურსი მოისმინეს.

სასწავლო კურსის ფარგლებში, მონაწილეებმა ვაგენინგენის უნივერსიტეტის რანდვიკის მეხილეობის სადგური, სანერგეები და ხეხილის ბაღები დაათვალიერეს; გაეცნენ მაღალხარისხიანი უვირუსო ნერგისა და საძირეების წარმოების ახალ მიდგომებს, ხილის კრეფის, დახარისხებისა და პირველადი სასაქონლო დამუშავების ხერხებს, ასევე შენახვის თანამედროვე სამაცივრო სისტემებსა და მეთოდებს.

ვის და რატომ „აშინებს“ საკონსტიტუციო უმრავლესობა?!

ძართულ მედიაში და სოციალურ ქსელში ატეხილი აჟიოტაჟი (ხშირად უარგუმენტო და ზერელე) მაიძულებს, დავარღვიო ცოტა ხნის წინათ გამოცხადებული მორატორიუმი და გამოვთქვა საკუთარი მოსაზრება, ვის უნდა მივცეთ ხმა არჩევნების მეორე ტურში და რამდენადაა საშიში საკონსტიტუციო უმრავლესობა დღევანდელ საქართველოში?

საზოგადოება სერიოზული დილემის წინაშე დგას: თუ მეორე ტურში ხმას მივცემთ **„ქართულ ოცნებას“**, ამით, ფაქტობრივად, ვაფორმებთ საკონსტიტუციო უმრავლესობას, რაც თავის თავში საშიშ ელემენტებს შეიცავს — **შეუზღუდავი ძალაუფლება, თუ იგი სათანადო ბერკეტებით არ არის დაბალანსებული, რყვნის ნებისმიერ ხელისუფლებას და ანტისახალხო, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისკენ უბიძგებს!**

თუ ხმას მივცემთ „ნაციონალურ მოძრაობას“, ამით ფორმალურად ერთპარტიული დიქტატისგან (საკონსტიტუციო უმრავლესობისგან) ვიხსნით ქვეყანას, მაგრამ ვაძლიერებთ იმ დესტრუქციულ პოლიტიკურ ძალას, რომლის 9-წლიანი მმართველობა მძიმე ტვირთად აწვა საქართველოს!

სტატიაში **„რა მაინტერესებს და რა არ მაინტერესებს“**, რომელიც არჩევნების წინა დღეს — 7 ოქტომბერს „ივერიონში“ გამოქვეყნდა, ვწერდი: **„არ მაინტერესებს, ვინ მოვა და ვინ დარჩება ხელისუფლებაში, რადგან, ვიცი, რომ ყველა ერთი „თიხისგანაა“ მოზელილი და ყველას ერთი საერთო პატრონი ჰყავს - უცხოური ბნელი ძალების სახით“.**

მაშინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ **„ნაცმოძრაობა“** 27 მანდატს აიღებდა, ხოლო, **„ქართულ ოცნებას“** საკონსტიტუციო უმრავლესობის პერსპექტივა გაუჩნდებოდა!

მიუხედავად იმისა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია არც იდეოლოგიით და მით უმეტეს, არც ორგანიზაციული სტრუქტურით, არსებითად არ განსხვავდება ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლებისგან, სასურველად მიმაჩნდა, მიგვეღო მრავალპარტიული პარლამენტი „ქართული ოცნების“ უბრალო უმრავლესობით, რომელიც უფრო მეტად დაგვაზღვევდა მოსალოდნელი ერთპარტიული დიქტატისგან!

„ნაციონალური მოძრაობა“ პირველი ტურის შედეგებით პოლიტიკურად და, მორალურად არათუ განადგურდა (როგორც ველოდით), არამედ, „გაცოცხლდა“ კიდეც — მიუხედავად ამისა, იგი თავისი დანაშაულებრივი წარსულის გამო ვერ შეასრულებს კონტრუქციული ოპონენტის ფუნქციას და შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოში სიტუაციას ვერ დააბალანსებს.

„ქართული ოცნების“ მხრიდან საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში პოზიტიური როლის შესრულება არც **„პატრიოტთა ალიანსის“** მცირერიცხოვან ფრაქციას შეუძლია — მათი ხმაც არანაირ გავლენას არ მოახდენს საკონსტიტუციო უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე და არც „ნაცმოძრაობის“ კუთხეში მიყენებას შეძლებს.

ასე რომ, გვინდა, არ გვინდა, მეორე ტურის შედეგებით, სავარაუდოდ, მივიღებთ რეალობას, როცა ნებისმიერი სახელმწიფოებრივად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ერთი პარტიის ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული!

რა გვიჩვენა არჩევნებმა?

იმის ილუზია, რომ 9 ოქტომბრიდან საქართველოში ახალი ერა დაიწყებოდა, საპნის ბუშტივით გაქრა.

რაც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ „ნაციონალების“ აღზევებას „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლა სჯობს, ეს მოსალოდნელ რეციდივებს არ აბათილებს — **ჩვენ წინასწარ არ ვიცით, რისთვის გამოიყენებს მაქსიმალური მხარდაჭერით (ეს ფორმალურად, რადგან ამომრჩეველთა ახევარზე მეტს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია) მოსული უმრავლესობა შეუზღუდავ უფლებამოსილებას, რამდენად იქნება მისი პოლიტიკური ძალისხმევა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული.** დაეჭვების საფუძველს პარლამენტში ძალთა დისბალანსი გვაძლევს. სამწუხაროდ, პოლიტიკური პროცესების გაკონტროლებას ვერც საბოლოოდ მარგინალიზებული არასაპარლამენტო ოპოზიცია შეძლებს.

საკაშვილი თუ ერთმმართველი ბუა იყო, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „ოცნებაც“ ბუად გადაიქცევა!

ბრბოს ინსტინქტიდან... ფულის მონობამდე!

არჩევნების პირველმა ტურმა დაადასტურა, რომ საქართველოში ბრბოს ინსტინქტით დასნებოვნებულ მასასთან გვაქვს საქმე — მასასთან, რომელსაც სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ელემენტარული პასუხისმგებლობის გრძნობაც არ აქვს. მას იმდენად მოუწამლეს ცნობიერება, რომ მხოლოდ ქვევრის ფუნქციას ასრულებს — რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებს...

ხალხმა დაიჯერა, რომ მისი აქტიურობით და არჩევნებზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით მაინც არაფერი შეიცვლება და თავს საარჩევნო ყუთთან მისვლითაც არ იწუხებს.

არადა, მტკიცება არ უნდა, **გაცილებით უკეთესი იქნებოდა ამომრჩევლის ხმა სხვა კვალიფიციურ სუბიექტებში გადანაწილებულიყო — ამით ერთპარტიულ დიქტატს თავიდან ავიცილებდით და „ნაციონალური მოძრაობაც“ პოლიტიკური ვექტორიდან გაცილებით ადრე გაქრებოდა!**

ის, რომ „ნაციონალებმა“ 400 ათასზე მეტი ამომრჩევლის მხარდაჭერა მიიღეს, გვაფიქრებინებს, რომ მათი, როგორც დანაშაულებრივი პოლიტიკური სისტემის გასამართლების ილუზია საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა! პირიქით, თუ კონსტრუქციული ოპონირების რეჟიმში გადავლენ, „ქართული ოცნების“, როგორც საკონსტიტუციო უმრავლესობის მხრიდან დაშვებული შეცდომები ფონზე მათ რეალური შანსი ეძლევათ, მოახდინონ პოლიტიკური ტრანსფორმაცია და 2020 წლის არჩევნებზე სერიოზულ პოლიტიკურ სუბიექტად იქცნენ!

ამ შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებელია არა იმდენად ის ამომრჩეველი, ვინც ხმა ინსტიქტურად მისცა, არამედ, ის უპასუხისმგებლო თანამოქალაქე, ვინც საკუთარი პოზიცია საერთოდ არ დააფიქსირა და ამით ფაქტობრივად, ხელი შეუწყო ერთპარტიული დიქტატურის დაკანონებას ქვეყანაში!

ფაქტია ისიც, რომ დღეს ნაციონალებს ფორმალურად იმდენი მხარდამჭერი ჰყავთ, რამდენი მანდატიც მათ მიიღეს. ამბობენ, რომ მათ კარგად იმუშავეს — ხალხში საკმაო ფული დაარიგეს (განსაკუთრებით რეგიონებში) და ამით პოლიტიკური სახე შეინარჩუნეს. **თუმცა, ტრაგედია არა იმდენად „ნაციონალების“ მხრიდან 27 მანდატის მოპოვებაა, რამდენადაც 400000 თანამოქალაქის სულიერი დაცემა — მათ ხმა ფულზე გაყიდეს და ამით იმ საზარელი ცხრაწლიანი ჯოჯოხეთის თანამონაწილეებად იქცნენ!**

მიუხედავად შესაძლო საკონსტიტუციო უმრავლესობით მინიჭებული უპირატესობისა, მმართველ პარტიას თავისი შემადგენლობით ძალიან გაუჭირდება „ნაციონალებთან“ ოპონირება — თუ პირველი ორიენტირებული იყო გამოცდილებაზე და მან თავისი რიგები მაქსიმალურად პროფესიონალებით დააკომპლექტა, მეორე ამ თვალსაზრისით საკმაოდ მოიკოჭლებს და ეს საპარლამენტო დებატებშიც მკაფიოდ გამოჩნდება!

მიცვალებულები საიქიოდან არ ბრუნდებიან!

არასაპარლამენტო ოპოზიციამ საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ ყველა რესურსი ამოწურა და მარგინალიზებულ ძალად იქცა. საარჩევნო ბარიერი ვერც მმართველი კოალიციიდან გაგდებულ-გაქცეულებმა გადალახეს. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ისინი ივანიშვილის გარეშე „პოლიტიკურ გვამს“ წარმოადგენენ!

დღევანდელი რეალობით, ფაქტობრივად, ორპარტიული სისტემა მივიღეთ — პოლიტიკურ რინგზე ისევ „ნაციონალები“ და ივანიშვილთან ასოცირებული „ქართული ოცნება“ დარჩა, რომელიც მალე საკონსტიტუციო უმრავლესობის მანდატს გაიფორმებს („პატრიოტთა ალიანსი“ პოლიტიკურ ამინდს არსებითად არ ცვლის).

შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ სწორედ ეს ორი პარტია დარჩეს ქართულ პოლიტიკურ ორბიტაზე, რადგან ყველა ერთად აღებული არასაპარლამენტო ოპოზიცია რომ გადავადნოთ, საშუალო რანგის ერთ პოლიტიკურ პარტიასაც ვერ მივიღებთ — მათ იმდენად გაიფარჩაკეს თავი, საეჭვოა პესპექტივაშიც კონკურენტუნარიან ძალად იქცნენ.

თუმცა, ჩვენ უფრო სერიოზული დილემის წინაშე ვდგებით — **დღევანდელი მდგომარეობით, საკმაოდ ძნელია ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირება, რომელიც ახალ იდეოლოგიაზე იქნება დაფუძნებული და საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსულ ხელისუფლებას ჯანსაღ ოპონირებას გაუწევს!**

ივანიშვილმა ამისთვის ყველა სასიცოცხლო არტერია გადაკეტა — თვითონ კი მიიღო ის, რასაც 2011 წლის ოქტომბერში გვპირდებოდა — ორპარტიული პარლამენტი მისთვის დამახასიათებელი ნეგატიური შედეგებით! (იგულისხმება „ნაცმოძრაობა“, როგორც ხელისუფლების საპირწონე ძალა).

სამწუხაროდ, ახალი, თვისობრივად განსხვავებული პოლიტიკური ძალის აუცილებლობას ხალხი ჯერჯერობით ვერ აცნობიერებს (ყოველ შემთხვევაში, მათი ძალისხმევა სოციალურ ქსელს არ სცილდება). ქართულ ბიზნესშიც ამისთვის მზაობა არ არის — მათ „თავის ატკიებას“ ყოველთვის სტატუს-კვოს შენარჩუნება ურჩევნიათ და ნებისმიერ ხელისუფლებასთან კონფლიქტში შესვლას ერიდებიან. საზოგადოებაში არსებული მენტალობის მიხედვით კი, უფულოდ საქმის გაკეთება (პოლიტიკური სუბიექტის ჩამოყალიბება-განვითარება) შეუძლებელია, რაც ყველაზე დიდი შეცდომაა. თუ სურვილი მყარად გააზრებული იქნება, საჭირო რესურსები საკუთარ ჯიბეში უნდა მოვიქექოთ. დიახ, ვიდრე სწორება მხოლოდ ფულზე იქნება, მოჯადოებულ წრეს ვერასდროს გავარღვევთ!

ბოლოთქმა: არჩევნების პირველი ტურის გამოცხადებიდან დღემდე სოციალურ ქსელში და პირად საუბრებში არ წყდება კაკაფონია, თუ ვის უნდა მივცეთ ხმა მეორე ტურში - „ნაციონალებს“,

მიუხედავად შესაძლო საკონსტიტუციო უმრავლესობით მინიჭებული უპირატესობისა, მმართველ პარტიას თავისი შემადგენლობით ძალიან გაუჭირდება „ნაციონალებთან“ ოპონირება — თუ პირველი ორიენტირებული იყო გამოცდილებაზე და მან თავისი რიგები მაქსიმალურად პროფესიონალებით დააკომპლექტა, მეორე ამ თვალსაზრისით საკმაოდ მოიკოჭლებს და ეს საპარლამენტო დებატებშიც მკაფიოდ გამოჩნდება!

ხმა „ქართულ ოცნებას“ უნდა მივცეთ, მაგრამ შეუზღუდავი ძალაუფლებით გამოწვეული შესაძლო დიქტატურის შემაკავებელი ძალის ფორმირებაზე არჩევნების მეორე ტურის დამთავრებისთანავე უნდა ვიზრუნოთ!

რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ მივიღოთ, თუ „ქართულ ოცნებას“, რადგან, „ნაციონალებისთვის“ ხმის მიცემა წარსულში დაბრუნებას, ანუ, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, სატანასთან წილნაყარობას ნიშნავს!

ამ თემაზე კამათმა იმდენად არაკვალიფიციური ხასიათი შეიძინა, ჭეშმარიტების დადგენა ძნელია: ბრბოს ინსტიქტებით შეპყრობილი ნაწილი პირდაპირ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისკენ მოგვიწოდებს და საზოგადოებაში გაჩენილ შიშს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ერთპარტიულ დიქტატს ნიშნავს, რაც თავის მხრივ სახიფათოა, არარეალურს უწოდებს. ისინი ამტკიცებენ, რომ მმართველი პარტია ამ შეუზღუდავ ძალაუფლებას კონსტიტუციური ნორმების სრულყოფისთვის და „ნაციონალების“ საბოლოოდ დამარცხებისთვის გამოიყენებს.

„ნაციონალების“ მომხრეები და „შუაშისტები“ პირიქით ამტკიცებენ. მათი აზრით, ხმა „ნაციონალებს“ უნდა მივცეთ, რომ მათ პარლამენტში მმართველი ძალის დაბალანსება შეძლონ!

საკმაოდ არგუმენტირებული პოზიცია აქვს ჟურნალისტსა და ტელეწამყვანს სალომე ასათიანს, რომელსაც მიაჩნია, რომ ერი დღეს სერიოზული დილემის წინაშე დგას — მისი აზრით, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს იკავებს „ნაციონალების“ მხარდაჭერისგან და მისი გაძლიერებისგან, მაგრამ სამაგიეროდ ღებულობს „ქართული ოცნების“ შეუზღუდავ ძალაუფლებას, რომელსაც რეალურად „ვერაფერი შეაკავებს“.

ქ-ნ სალომეს ვეთანხმები იმაში, რომ „ქართული ოცნება“ „ამორფული“ დამოუკიდებელი პარტიული გამოცდილების არმქონე პოლიტიკური ორგანიზაციაა, სახელმწიფო სტრუქტურებთან შეზრდილი“.

ასათიანის აზრით, „ქართული ოცნების“ ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობის ნეგატიური შედეგები უკვე სახეზეა, როცა მეორე ტურის ჩატარებამდე საუბარი იწყება პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლაზე. ჟურნალისტი არ არის დარწმუნებული, რომ „ამ ძალამ ზედმეტი ხელისუფლებით ბოროტად არ ისარგებლოს!“

მიუხედავად არცთუ უსაფუძვლო შიშისა, სალომე ასათიანი არ გვირჩევს როგორ მივიქცეთ — „ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს“ რა არჩევანს გააკეთებს. სიტუაცია მძიმეა“ — ამბობს იგი.

რა თქმა უნდა, როგორც არასდროს, დღეს ქართველი ამომრჩეველი სერიოზული არჩევანის წინაშე დგას, — მან არ იცის, რას და ვის მისცეს ხმა: წარსულში დაბრუნებას, ანუ დესტრუქციული ძალის გაძლიერებას, თუ ახალი პოლიტიკური წარმონაქმნის ხელში მაქსიმალური (შეუზღუდავი) ძალაუფლების ჩაგდებას, რომელსაც კაცმა არ იცის, როგორ გამოიყენებს!

ასათიანისგან განსხვავებით, მე პირდაპირ ვაცხადებ: ხმა „ქართულ ოცნებას“ უნდა მივცეთ, მაგრამ შეუზღუდავი ძალაუფლებით გამოწვეული შესაძლო დიქტატურის შემაკავებელი ძალის ფორმირებაზე არჩევნების მეორე ტურის დამთავრებისთანავე უნდა ვიზრუნოთ!

თუ რას ვგულიხმობ, ამაზე არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ ვისაუბრებ!

ზაურ ნაჭყებია

საქმე № 01-10/86

დადგენილება

არბიტრაჟის სხდომაზე დასასწრებად უწყების ჩასაბარებლად მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ.

ქ. ბათუმი 11 ოქტომბერი, 2016 წელი

შპს „აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი"-ს
არბიტრმა პაატა კოპალეიშვილი

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „PIAZZA CAPITAL"-ი, ს.კ. 445425763, დირექტორი: სულხან ჯორთმენაძე(პ/ნ 61001014228);

წარმომადგენელი: ირაკლი კანდელაკი (პ/ნ 61001021842);

მოპასუხე: ფ/პ ზაზა გივიაშვილი (პ/ნ 01001045419);

დავის საგანი: თანხების გადახდის დაკისრება, სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ქონების რეალიზაცია და საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დაკისრება.

ერთპიროვნულად განვიხილე საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენელის შუამდგომლობა არბიტრმა კოლეგიის სხდომაზე დასასწრებად უწყების ჩასაბარებლად მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2016 წლის 28 ივლისს **შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი"-ს** არბიტრმა პაატა კოპალეიშვილმა მივიღე დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ". არბიტრაჟის რამოდნიმე მცდელობა მოპასუხეს ჩაბარებოდა საარბიტრაჟო სარჩელი და დოკუმენტები, დასრულდა უშედეგოდ.

2016 წლის 11 ოქტომბერს საარბიტრაჟო მოსარჩელეს წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა განცხადებით საარბიტრაჟო დავის მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე მოწვეული ყოფილიყო საჯარო შეტყობინების მეშვეობით, რაც დაკმაყოფილდა.

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ"** საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების" მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;**

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. სამოქალაქო საქმეზე, №01-10/86, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხე ზაზა გივიაშვილი (პ/ნ 01001045419) საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება განხორციელდეს საჯარო შეტყობინებით.

3. განემარტოს ზაზა გივიაშვილს (პ/ნ 01001045419), რომ წინამდებარე დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან შვიდი დღის განმავლობაში, გამოცხადდეს **შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი"**-ში (ქ. ბათუმი, ახ. მელაშვილის ქ. № 26, მე-3 სართული, საკ. ტელ: 568 40 60 45, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, დასვენების და უქმე დღეების გარდა), საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტები ჩაითვლება ჩაბარებულად საჯარო მოწვევის, საჯაროდ გამოცხადებიდან შვიდი დღის გასვლის შემდგომ.

4. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.
შპს „აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი"-ს

არბიტრი: **/პაატა კოპალეიშვილი/**

ეროვნული ვალუტა

რა ელის ლარს?

ლარის კურსის ბოლოდროინდელი ვარდნა კვლავაც მთავრობის ერთ-ერთი დიდი თავის ტკივილი და მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხია. მისი ამჟამინდელი ერთგვარი „დაბალკუთხიანი დაქანება" შარშანდელივით მტკივნეული არ არის, ამით არც აქტუალობას კარგავს და არც ნაკლები მღელვარების საბაბს იძლევა, რადგან ტენდენცია ერთგვარი მდგრადობის ნიშნებს იძენს: თუ, ვთქვათ, სექტემბრის დამდეგს ერთი დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2,3060 ლარი იყო, 21 ოქტომბერს ის 2,3699 ნიშნულამდე გაიზარდა. პროცესი არ ჩერდება იმის მიუხედავადაც, რომ ბოლო კვირის მანძილამდე გაიზარდა. ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორის სავალუტო აუქციონებზე 140 მილიონზე მეტი დოლარი გაყიდა.

არასახარბიელო ტენდენციის უმთავრეს მიზეზად ბევრი ექსპერტი, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე** საბანკო-საფინანსო ბაზარზე ბოლო დროს განხორციელებულ დიდმასშტაბიან ტრანზაქციებს მიიჩნევს. აღნიშნავენ იმასაც, რომ ეროვნული ბანკის მიერ ბაზარზე განხორციელებული სოლიდური სავალუტო ინტერვენციებიც ამ ტრანზაქციების შედეგად მიღებული დისბალანსის გასწორებაზეა მიმართული.

— ეროვნული ბანკის ინტერვენციების ერთ-ერთი მიზანი ლარის გაცვლითი კურსის ჭარბი მერყეობის შემცირებაა, — განაცხადა სებ-ის პრეზიდენტმა. — ამ ეტაპზე ეროვნულ ვალუტაზე საგარეო შოკის გავლენა ამოწურულია, ხოლო კურსის მერყეობა მხოლოდ დროებითი ფაქტორებითაა გამოწვეული.

საგულისხმოა ასევე ფინანსთა მინისტრის მოადგილის **გიორგი კაკაურიძის** მოსაზრება იმ ძირითად ფაქტორებზე, რომლებიც ლარის კურსზე ძალიან დიდ გავლენას ახდენენ:

— ერთი მათგანია არასწორი მოლოდინი, რომელიც ზოგიერთი ექსპერტის მეცადინეობით შეიქმნა, თითქოს არჩევნების შემდეგ ლარი კატასტროფულ ნიშნულამდე გაუფასურდებოდა. არასწორმა მოლოდინმა ლარის კურსზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია. მეორე ფაქტორი კი ერთჯერადი ტრანზაქციებია, რომელთა გავლენა საკმაოდ მოკლევადიანია და მათი მოქმედება დიდ ხანს არ გაგრძელდება.

მეტად საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ ლარის გაცვლით კურსზე მოქმედი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საკმაოდ იმედისმომცემია, ამდენად ამ მხრივ მისთვის საფრთხე არ არსებობს. ლარის „წონადობაზე", ცხადია, საგარეო-სავაჭრო მაჩვენებლებიც ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას, თუმცა მათ შესახებ ცალკე ლაპარაკი წინა წერილში გვქონდა (№195, 20.X), ამდენად ამ საკითხს აღარ შევეხებით.

ეროვნული ვალუტის სიმყარისთვის დიდად მნიშვნელოვანია ასევე ქვეყანაში არსებული უცხოური ვალუტის შემოდინება, რომელიც, თავის მხრივ, დიდწილად საზღვარგარეთიდან მიღებული სახსრებზე, მათ შორის კერძო ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული. ამ მხრივ ბოლო მონაცემები წლევანდელ და შარშანდელ სექტემბერს ეხება, რა პარამეტრითაც წლევანდელი მაჩვენებელი 13 პროცენტზე მეტით მაღალია. სასიკეთო მომენტია ისიც, რომ წლეულს უცხოელ ტურისტთა ნაკადის ზრდის კვალობაზე ასევე საგრძნობლად გაიზარდა სავალუტო შემოსავალი ამ სფეროდანაც. ეს ყველაფერი კი, საბოლოო ანგარიშით, საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში ლარის კურსი არა თუ დასტაბილურდება, არამედ გამყარებასაც დაიწყებს, რაც კიდევ ერთ, მეტად მძლავრ საგარეო ფაქტორს უკავშირდება. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნები, რომლის ჩატარების შემდგომ, როგორც სტატისტიკა მოწმობს, დოლარი, ფაქტობრივად, ყოველთვის იაფდება. ბუნებრივია, ამ დროს ქვეყნების ეროვნული ვალუტები მყარდება და ეს გარემოება ჩვენც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

ეს მტკიცება ვინმეს იქნებ არასაიმედო პროგნოზად, ერთგვარ ფანტაზიადაც მოეჩვენოს, მაგრამ არჩევნების შემდეგ გარკვეული მოვლენების, კერძოდ, სავაჭრო დაძაბულობებისა და პოლიტიკური გაურკვევლობის შედეგად, შესაძლებელია დოლარმა „წონაში" საგრძნობლად, დაახლოებით 20 პროცენტის ფარგლებში დაიკლოს. ამ პროგნოზს საბირჟო ტრეიდერები ანუ ვალუტით მოვაჭრენი აკეთებენ. ფული კი, მოგეხსენებათ, ისეთივე საქონელია, როგორიცაა, ვთქვათ, ნავთობი, გარკვეული მადანი თუ ქალის წინდები.

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტრეიდერის ბანკ „მორგან ჩეიზის", „დოიჩე ბანკისა" და სხვა დიდ მოთამაშეთა ექსპერტები, კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ინვესტორები ამ დროს შესაძლოა ევროსა და იაპონურ იენზე „გადავიდნენ".

მოკლედ, აღნიშნულ საკითხზე ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ, წლის დამლევამდე მოვლენები საკმაოდ საგულისხმოდ და, რაც მთავარია, ლარისთვის სასიკეთო სცენარით უნდა განვითარდეს.

ოთარ ტურაბელიძე

საქმე №231-2016

ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს ,,საარბიტრაჟო სასამართლო“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 20 ოქტომბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **გიგა ლომაია, ლია გოგიშვილი, მაია კუმელაშვილი**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს მიერ 2016 წლის 8 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის გიგა ლომაიას, ლია გოგიშვილისა და მაია კუმელაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 4 აგვისტოს შპს „ახალი კრედიტი”-სგან მოპასუხე გიგა ლომაიამ ისესხა 1800 ლარის ოდენობით სესხი. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 3 ოქტომბერი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც განისაზღვრება დარჩენილი გადაუხდელი თანხის 1%-ით.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

2015 წლის 4 აგვისტოს დადებული №15138 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, ლია გოგიშვილმა და მაია კუმელაშვილმა აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს „ახალი კრედიტი”-ს წინაშე გიგა ლომაიას მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე გიგა ლომაიაზე, ლია გოგიშვილზე და მაია კუმელაშვილზე გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმად მოპასუხე ლია გოგიშვილს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ლია გოგიშვილს ოთხჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, ისე მის საკუთრებაში არსებულ მისამართზე თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ არც ერთ მისამართზე არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიგა ლომაიას სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ისე მის მიერ კურიერთან საუბრისას განცხადებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი აღნიშნულ მისამართებზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილის მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხეები ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე არ იმყოფებიან, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ლია გოგიშვილსა (პ/ნ 02001019741) და გიგა ლომაიას (პ/ნ 58001007320) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს წარმოებაშია შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილს განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოთ მოპასუხეებს გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილს, რომ მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხეებს გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილს ეცნობოთ, რომ 2016 წლის 21 ნოემბერს 12:30 საათზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით,გიგა ლომაიას, ლია გოგიშვილისა და მაია კუმელაშვილის მიმართ.

5. გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №232-2016

ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს ,,საარბიტრაჟო სასამართლო“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 20 ოქტომბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ლია გოგიშვილი, გიგა ლომაია, თეა ბუკია**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს მიერ 2016 წლის 9 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის ლია გოგიშვილის, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 30 მაისს შპს „ახალი კრედიტი”-სგან მოპასუხე ლია გოგიშვილმა ისესხა 1300 ლარის ოდენობით სესხი. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 27 სექტემბერი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც განისაზღვრება დარჩენილი გადაუხდელი თანხის 1%-ით.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

2015 წლის 30 მაისს დადებული №11963 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, გიგა ლომაიამ და თეა ბუკიამ აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს „ახალი კრედიტი”-ს წინაშე ლია გოგიშვილის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ლია გოგიშვილზე, გიგა ლომაიაზე და თეა ბუკიაზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ლია გოგიშვილს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ არც ერთ მისამართზე არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიგა ლომაიას სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ისე მის მიერ კურიერთან საუბრისას განცხადებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი აღნიშნულ მისამართებზე არ ცხოვრობს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თეა ბუკიას სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხეები ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე არ იმყოფებიან, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ლია გოგიშვილს (პ/ნ 02001019741), გიგა ლომაიასა (პ/ნ 58001007320) და თეა ბუკიას (პ/ნ 42001013280) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს წარმოებაშია შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოთ მოპასუხეებს ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას, რომ მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხეებს ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას ეცნობოთ, რომ 2016 წლის 21 ნოემბერს 11:00 საათზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ლია გოგიშვილის, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას მიმართ.

5. ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

ძველი სახელოსნოების ახალი სიცოცხლე

ძველი თბილისის ამქარი

„თბილისური სახელოსნოები“ — ასე ჰქვია გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში არსებული სახელოსნოების ამსახველი ფოტომასალა და ექსპონატები. გამოფენის მასპინძელია „თბილისის განვითარების ფონდი“ და საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომელშიც დაცულია ოქროსა და ვერცხლის ძველებური ნაკეთობანი; ხის, ლითონის, ძვლის მხატვრულად დამუშავებული ნიმუშები; აბრეშუმის, ტყავისა და მაუდის ნაწარმი; კავკასიური ხალიჩების კოლექცია, მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, გობელენები და ნაქარგობის სხვა ნიმუშები.

მჭედლობა ხელოსნობის მნიშვნელოვან დარგად ითვლებოდა თბილისსა და მთელ საქართველოში. მჭედელს, რომელი მიმართულების წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო იგი — სამეურნეო თუ საომარი იარაღების მკეთებელი — „კვერით ხუროი“ ეწოდებოდა. თბილისის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მკვლევარი, პროფესორი **შოთა მესხია** ნაშრომში „ხელოსნობა ძველ საქართველოში“ წერს, რომ კვერით ხუროი ეწოდებოდა „მჭედელს რვალისა და რკინისა“.

თუმცა თბილისი, როგორც საქართველოს ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქი, იტევდა არა მარტო სამჭედლოებს, არამედ ყველა სახეობის ხელოსნობასა და ხელოსნებს. თბილისის ისტორიისა და ყოფის მკვლევარის **ლუარსაბ ტოგონიძის** თქმით, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ძველი თბილისის ქუჩების დასახელებაც.

„ჩვენ ვიცით „ღვინის აღმართი“, „ვერცხლის ქუჩა“ და სხვა. ასევე შემორჩენილია ბევრი ისეთი სახელი, რომელთა მნიშვნელობაც აღარ ვიცით, არადა დაკავშირებული იყო ამა თუ იმ საქმიანობასთან. სასურველია, რომ ამ ქუჩებმა გაამართლონ თავიანთი სახელები, მაგალითად, ვერცხლის ქუჩაზე გაჩნდეს თუნდაც ერთი სახელოსნო, ანდა ღვინის აღმართზე იყოს მარანი ან ღვინის სარდაფი“, — უთხრა ლუარსაბ ტოგონიძემ რადიო „თავისუფლებას“.

ლუარსაბ ტოგონიძის თქმით, ძველი სახელოსნოების აღდგენასთან ერთად, უნდა გაცოცხლდეს როგორც ხელით შრომის ტრადიციული მეთოდები, ასევე ის ურთიერთობები, რომლებიც ხელოსნებს ერთმანეთთან და მუშტართან აკავშირებდათ:

„ისეთ დეტალებში ვხვდებით პატიოსან მიდგომას და შემოქმედებითობას, სადაც წინასწარ იცოდნენ, რომ არ გამოჩნდებოდა. მაგალითად, სამოსი, რომლის გარეთა მხარე ჩანს, მაგრამ ძველ სამოსში შიდა მხარეც ისეთი სილამაზით არის გაკეთებული და დამუშავებული, რომ აშკარაა: თერძს არ შეეძლო მიეფუჩეჩებინა... ასევე, ოქრომჭედლობაში უამრავი მშვენიერი დეტალია დაფარული. მაგალითად, დიდი შრომაა ჩადებული ადგილში, რომელიც ტყავით უნდა დაფარულიყო. ასეთია ხანჯალი, რომლის წინა მხარე ჩანს, მაგრამ უკანა მხარეც დიდი შრომით არის დამუშავებული“.

„ჩხუბის ანდა ურჩობისათვის უსტაბაში ოსტატს სჯიდა — ჯარიმას ახდევინებდა, რასაც თარჯიმალა ეწოდებოდა. უსტაბაში იღითბაშის, მდივნის, ხელით ვაშლს უგზავნიდა სხვა უსტაბაშებს, რაც იმას ნიშნავდა, რომ დასჯილი ოსტატისათვის საქონელი არ მიეცათ...

ლუარსაბ ტოგონიძის თქმით, შინაგანი წესიერების გარდა, ხელოსნის ქცევაზე გავლენას ახდენდა ჰამქარი — ხელოსანთა კორპორაცია, რომლის თავკაცს, უსტაბაშს, ხელოსნები ირჩევდნენ თავიანთი რიგებიდან. მას, ასევე, ეძლეოდა ორი მოადგილე — ახსკალი და იღითბაში, ანუ მდივანი. უსტაბაშის უფლებეში შედიოდა ოსტატთა ინტერესებისა და სამუშაო წესების დაცვა. ის პასუხს აგებდა ოსტატის ქცევაზეც“, **— ფრაგმენტი თემურ ბერიძის წიგნიდან „ძველი თბილისის სურათები“:**

ჰამქრის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა შეგირდების აღზრდას. შეგირდის მშობელს შვილი უსტაბაშთან მიჰყავდა, რომელიც ბავშვს რომელიმე ოსტატს მიაბარებდა. თუ ბავშვი ხელობას შეისწავლიდა, მოეწყობოდა გამოცდა „ოსტატის“ წოდების მისაღებად. გამოცდის შემდეგ მღვდელი ლოცავდა შეგირდს. ახალბედა ოსტატს წელზე ფოჩებიან სარტყელს შემოარტყამდნენ, რომელიც სამი დღის განმავლობაში უნდა ეტარებინა, რათა ყველას ეხილა მისი ოსტატად გახდომა. დალოცვა მთავრდებოდა იმით, რომ უსტაბაში შეგირდს სახეში სამჯერ შემოარტყამდა სილას - ეს იყო „ატესტატის“ მიცემა, „მონათვლა“. შემდეგ თანასწორობის ნიშნად ერთმანეთს გადაჰკოცნიდნენ. იმართებოდა დიდი ქეიფი. პირველი სადღეგრძელო ახალბედა ოსტატისა იყო, შემდეგი - უსტაბაშისა, ამქრისა და ა.შ.

თბილისური სახელოსნოები და ხელოსნები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გაქრნენ, თუმცა მათი შრომის იარაღები, ყოფის ამსახველი ნივთები და ცოდნა დაცულია საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, რომლის დირექტორის **ირინა კოშორიძის**, თქმით, 1899 წელს დაარსებული მუზეუმი საშუალებას იძლევა სრულფასოვნად აღდგეს გამქრალი სახელოსნოები და ძველ ხელოსანთა ტექნოლოგიები.



„ჩვენთან არის ძალიან მრავალფეროვანი მასალა, ფოტოარქივი, ხელნაწერები ძალიან ბევრი მკვლევარის ამა თუ იმ ტექნოლოგიურ მეთოდებზე. არის დიზაინერული ჩანახატები სხვადასხვა ნივთების... გამოფენაზე გამოტანილი გვაქვს სამი ტიპის ექსპონატები: ეს არის XIX საუკუნის ფოტოები, რომლებიც რეალურად ასახავს სამჭედლოებს, საქსოვ საამქროებს, დაბაღების შრომას, მეთუნეების სახელოსნოებს და ა.შ. აქვე არის მაკეტები, რომლებიც გასული საუკუნის 40-იან წლებშია გაკეთებული. ასევე, გვაქვს ფერწერული ნამუშევრები, რომლებიც ასევე ასახავს ხელოსანთა ყოფას. ასე რომ, არა მხოლოდ ვიზუალურად არის შესაძლებელი აღდგენა ცალკეული სახელოსნოების, არამედ ტექნოლოგიურადაც, რადგანაც ჩვენ გვაქვს ყველაფერი იმისათვის, რომ ეს დარგები აღვადგინოთ და განვავითაროთ“, — უთხრა ირინა კოშორიძემ რადიო „თავისუფლებას“.

საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციაში კი აცხადებენ, რომ ძველი სახელოსნოების აღდგენა მნიშვნელოვანია როგორც კულტურული, ასევე კომერციული თვალსაზრისით. ასოციაციის შემოქმედებითი ხელმძღვანელის **ანა შანშიაშვილის** თქმით, თანამედროვე მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი რეწვის ტრადიციული მეთოდებით შექმნილი პროდუქციისადმი:

„გლობალიზაციის პირობებში, როცა მთელ მსოფლიოში ერთნაირი პროდუქცია იქმნება, კულტურულ მრავალფეროვნებას ეძებს ყველა. ეს საინტერესოა როგორც უცხოელებისთვის, აგრეთვე ჩვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვისაც, რადგანაც ეს არის ჩვენი კულტურული იდენტობის ნაწილი. არის მოთხოვნა ქართულ, ძველ, ტრადიციულ ნაწარმზე, ოღონდ ეს ნაწარმი უნდა იყოს ფუნქციური და აკმაყოფილებდეს გარკვეულ ხარისხობრივ კრიტერიუმს. საბჭოთა კავშირის პერიოდში ამ ნივთებმა განიცადეს ე.წ. სუვენირიზაცია, რაც ნიშანვს იმას, რომ ეს ნივთები იქცნენ გამოუყენებელ საგნებად. ტრადიციული რეწვა კი გულისხმობს მათ რეალურ გამოყენებას“.

ანა შანშიაშვილის თქმით, არაერთი ადამიანის ძალისხმევით დაბრუნდა და აღდგა თითქმის დაკარგული მინანქრის წარმოება, მასშტაბურად გავრცელდა თექის ტექნოლოგიაც. სასწრაფოდ სჭირდება აღდგენა მეაბრეშუმეობას. და კიდევ:

„ძალიან საინტერესოა ქვის კეცების ტრადიციის აღდგენა. გურიაში არის ერთი კაცი, რომელიც, თიხის ნაცვლად, ტრადიციული მეთოდით აკეთებს ქვის კეცებს, რომლებიც, თიხასთან შედარებით, ბევრად უკეთესია. არის სხვა ბევრი ნივთი, რომელსაც შეიძლება ფუნქცია შეეცვალოს და ისე დაბრუნდეს ცხოვრებაში“.

ანა შანშიაშვილის თქმით, ტრადიციული რეწვისა და ძველი სახელოსნოების აღდგენით დაინტერესებული უნდა იყოს სახელმწიფოც, რომელიც ასეულობით მილიონ ლარს ხარჯავს ტურისტების მოზიდვასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაზე. თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის **გიორგი ბაიდარაშვილის** თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ძველი სახელოსნოები გაიხსნას ძველი თბილისის განახლებულ უბნებში.

გარდა კომერციული სარგებლისა, ძველი სახელოსნოებისა და ტრადიციული რეწვის აღდგენით საქართველო ნახავს არამატერიალურ სარგებელსაც. თავის დროზე სახელოსნოების გაქრობით გაღარიბდა არა მარტო ქალაქის ყოფითი ცხოვრება, არამედ ლექსიკაც — ყოველდღიური ხმარებიდან გაქრა ხელოსნობასთან დაკავშირებული საგნების სახელები. მაგალითად, საუკუნეების წინ პარიკმახერის ხელობას ეწოდებოდა „დამყვენელნი წვერთანი“ ანუ „მკვეცარნი“, რომლებიც შრომის იარაღად ხმარობდნენ დუქარდსა და სარისველს. წყალსადენებით წყლის გამმყვან ხელოსანთ ეწოდებოდათ ქუქანკნი ანუ „ჩაზმაცნი წყაროსანი“ და ა.შ. ტრადიციული რეწვისა და სახელოსნოების აღდგენით ყოფაში დაბრუნდება ბევრი მივიწყებული საგანი და ენაში კი — მათი ლექსიკური შესატყვისი.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

ვაკის ინფრასტრუქტურაზე მილიონები დაიხარჯა

ვაკის რაიონში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე და კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებაზე 5 მლნ. 720 700 ლარი დაიხარჯა.

2016 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით ვაკის რაიონის მასშტაბით, გზის რეაბილიტაცია 138 მისამართზე განხორციელდა. საერთო ჯამში გზის საფარი შეკეთდა 90 696,52 კვ. მეტრის ფართობზე.

რაც შეეხება კეთილმოწყობის პროექტებს, ბოლო მონაცემებით, რაიონის მასშტაბით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 28 სპორტულ მოედანს, 31 სკვერს, დაიდგა 150 მოსასვენებელი სკამი. გარდა ამისა, აშენდა 18 ბეტონის კიბე და 12 საყრდენი კედელი.

ვაკის რაიონის ტერიტორიაზე, 16 მისამართზე დაზიანებული შენობა-ნაგებობებისა და აივნების ფასადური რეაბილიტაციის, პარაპეტების მონტაჟისა და ავარიული შენობების დროებითი გამაგრების სამუშაოები ჩატარდა, რაზეც 22 600 ლარი დაიხარჯა.

13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე კი წელს 1 მლნ. 806 738.37 ლარი დაიხარჯა. სტიქიის შედეგად დაზარალებული მისამართების სახლების რემონტი 79 მისამართზე უკვე დასრულდა, სამუშაოები ამჟამად 21 მისამართზე მიმდინარეობს. გარდა ამისა, ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიმდინარე წელს 553 500 ლარის ოდენობით 76 ოჯახზე გაიცა.

◎ სუმო

„ბრინჯაო“ და ევროპის მასპინძლობა

18 ქვეყნის 260 სპორტსმენი მონაწილეობდა გერმანიის ქალაქ ბრანდენბურგში გამართულ 16-წლამდელ სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატში. საქართველოდან (ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე) შეჯიბრებაში ნოდარ კუთხაშვილი (-90 კგ) და ჭაბუკა გამყრელიძე (+90 კგ) მონაწილეობდნენ. ჩვენმა ბიჭებმა ორ-ორი შეხვედრა მოიგეს, თითო დათმეს და მეხუთე ადგილებს დასჯერდნენ. ქართველმა სუმოისტებმა გუნდურ შეჯიბრებაში, სადაც ერთი მონაწილე აკლდათ, სტარტზე პოლონელებთან წააგეს — 1:2, შემდეგ კი ერთნაირი ანგარიშით — 2:1 სძლიეს? უნგრეთს, ესტონეთს, გერმანიას და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

ასპარეზობის პარალელურად ბრანდენბურგში ევროპის სუმოს ფედერაციის კონგრესი მოეწყო, სადაც 2017 წლის ევროპის ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნების ვინაობა და ჩატარების თარიღები დამტკიცდა. თბილისმა 17 ხმით 1-ის წინააღმდეგ ბუდაპეშტს აჯობა. ამდენად, გაისად 21-24 აპრილს საქართველოს დედაქალაქი უფროსებში, ასევე, 21 და 23-წლამდელ სუმოისტთა კონტინენტის პირველობებს უმასპინძლებს, ხოლო 14-16-18-წლიანები ბუდაპეშტში 2017 წლის 10-13 ნოემბერს მოსინჯავენ ძალებს.

კონგრესმა 2017 წლის მსოფლიოს ღია თამაშებზეც იმსჯელა და იგი გაისად პოლონურ ვროცლავში დანიშნა. მედლებისთვის ოთხ წონით კატეგორიაში (85, –115, +115, აბსოლუტური) 8-8 სპორტსმენი იბრძოლებს. მოასპარეზეთა შორის ქართველები — გიორგი მეშვილდიშვილი (-115) და ავთანდილ ცერცვაძეც (აბსოლუტური) იქნებიან.

ლაშა დიდია

◎ აბა, მუშტი-კრივში მნახე...

გიორგი პაპუნაშვილი და რენე ფერეირა დასაჯეს

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს გიორგი პაპუნაშვილსა და რენე ფერეირას ლანჩხუთის „გურიასთან“ მატჩისას მომხდარი ინციდენტის გამო კლუბისა და ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან სასჯელი დაეკისრათ.

როგორც „დინამოს“ პრესსამსახური იტყობინება, კლუბმა ორივე მოთამაშე ერთი თვის ხელფასით დააჯარიმა და გააფრთხილა, რომ მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში დისკვალიფიკაციით დაისჯებიან.

„დინამოს“ ვებ-გვერდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განაჩენსაც აქვეყნებს, რომლის თანახმად პაპუნაშვილს და ფერეირას 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 2000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრათ.

შეგახსენებთ, რომ ლანჩხუთის „გურიასა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს რენე ფერეირამ და გიორგი პაპუნაშვილმა მინდორზე ერთმანეთთან იჩხუბეს, რის გამოც მსაჯმა ორივეს წითელი ბარათი უჩვენა.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერები

ნემსაძის 13 წუთი და 12 მეტრი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეორეხაზელმა გიორგი ნემსაძემ ინგლისის პრემიერშიპის „ბრისტოლის“ პირველ გუნდში პირველად ითამაშა.

32 წლის მორაგბე პრემიერშიპში აღზევებულ გუნდში ზაფხულში გადავიდა და აქამდე მეორე გუნდის შემადგენლობაში, პრემიერშიპის დუბლების ჩემპიონატში თამაშობდა, სადაც 3 ლელო დადო. ევროტურნირების, კერძოდ ჩელენჯ ქაფის მეორე ტურის ინგლისურ დერბიში, „ბათთან“ გასამართ შეხვედრაში ის პირველი გუნდის განაცხადში პირველად შეიყვანეს და შეცვლაზე 13 წუთი ათამაშეს.

დროის სიმცირის გათვალისწინებით, ნემსაძეს კარგი სტატისტიკა დაუგროვდა. მან ბურთით ერთხელ შეუტია, მბოჭავი ჩამოიცილა და 12 მეტრი იარა, ხოლო დაცვაში 3 ბოჭვა შეასრულა.

თამაშს 13257 მაყურებელი დაესწრო და „ბრისტოლი“ ჩელენჯ ქაფზე მეორედ, ხოლო სეზონში ზედიზედ მერვედ დამარცხდა. შეხვედრა საყურებლად დიდი ვერაფერი გამოდგა. პირველ ტაიმში მასპინძელთა 4 ჯარიმას სტუმრებმა ერთით უპასუხეს, მეორეში თითო ზუსტი დარტყმა გაცვალეს, შეხვედრის ერთადერთი ლელო კი უკანასკნელ წუთზე „ბათმა“ დადო და 22:6 იმარჯვა. შედეგად, ის ჩელენჯ ქაფის მე-4 ჯგუფს ორი ტურის შემდეგ 8 ქულით ლიდერობს, ხოლო „ბრისტოლი“ 0 ქულით ბოლო ადგილზეა.

მე-5 ჯგუფში ზურაბ ჟვანიასა და გიორგი მელიქიძის „სტად ფრანსემ“ პარიზში რუმინული „ტიმიშოარა-სარასენსი“ მიიღო და მშრალად — 27:0 დაამარცხა. 6500-მა მაყურებელმა პირველ 20 წუთში მასპინძელთა სამი ლელო და ერთი ჯარიმა იხილა. მეოთხე ლელო 53-ე წუთზე გავიდა და „სტად ფრანსემ“ პრემიაც ჩაიწერა.

მიმდინარე სეზონში მეორედ ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში მარცხენა ბურჯმა ჟვანიამ და მოედანზე 52 წუთი გაატარა. მიმდინარე სეზონში მესამედ ვიხილეთ მოედანზე მელიქიძე, რომელიც შეცვლაზე 5 წუთით შევიდა. სამწუხაროდ, ამ თამაშში მონაწილე მორაგბეების დაწვრილებითი სტატისტიკა ჯერჯერობით უცნობია. პარიზელებმა ჩელენჯ ქაფის მიმდინარე სეზონში პირველი 5 ქულა აიღეს.

პირველ ჯგუფში ლექსო ყავლაშვილის „ლა როშელმა“ დავით ხინჩაგიშვილის „ბეიონს“ სამის წილ 8 ლელო დაუდო და 51:24 დაამარცხა. ქართველ ლეგიონერებს არ უთამაშიათ.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი



კრისტოფ პორზინგისმა კონტრაქტი გაახანგრძლივა

„ნიუ იორკ ნიძსის“ ახალგაზრდა ლატვიელმა ცენტრმა კრისტოფ პორზინგისმა კლუბთან კონტრაქტი 2018 წლამდე გაახანგრძლივა.

ახალი კონტრაქტის მიხედვით ბალტიისპირელი 2017/18 წლების სეზონში 4.5 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

განვლილ სეზონში პორზინგისი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 14.3 ქულას, 7.3 მოხსნას და 1.9 ბლოკ-შოტს აკეთებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

რაფაელ ნადალმა სეზონი დაასრულა

დიდი სლემის 14-გზის ჩემპიონმა, ესპანელმა რაფაელ ნადალმა სეზონი დაასრულა და კორტზე 2017 წლამდე აღარ გამოვა. ამის შესახებ თავად რაფამ განაცხადა.

„არავისთვისაა დასამალი, რომ როცა ოლიმპიადაზე გამოვედი, საკმარისად მომზადებული არ ვიყავი და ტრავმაც ბოლომდე მოშუშებული არ მქონდა. მაგრამ მე მქონდა მიზანი, რომ ესპანეთისთვის მედალი მომეპოვებინა და ეს შევძელი. თუმცა, ამ ყოველივემ ძველი ტრავმა გამიმიზეზა და ტკივილები დამეწყო, ამიტომ მიმდინარე სეზონში ვეღარ ვითამაშებ და 2017 წლისთვის დაგვიწყებ მომზადებას. გული მწყდება, რამდენიმე ჩემთვის საყვარელი ტურნირის გამოტოვება რომ მომიწევს, მაგალითად, ბაზელის ტურნირის, რომელთანაც კარგი მოგონებები მაკავშირებს — ჩემი და როჯერ ფედერერის შეხვედრები“ — აღნიშნა ნადალმა.

ბადრი იაშვილი

◎ ინტერნეტიდან

ეზეიმეგათ და რა ქნან?

გუშინ თბილი და ნათელი საღამო გაატარეს კოლუმბიელმა ნახევარმცველმა ხუან კუადრადომ და მისმა გულისსწორმა, წარმოშობით ასევე კოლუმბიელმა მოდელმა მელისა ბოტერომ. წყვილს სილაღის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. პატარა საქმე ხომ არაა, სამშაბათს საკუთრივ ხუანის კინკილა გოლით დაამარცხა „იუვენტუსმა“ „ლიონი“.

თუმცა, როგორც იტალიელი ბულვარული პრესის ხალხი ირწმუნება, ამ სიხარულსა და მხიარულებას სილაღის კიდევ ერთი მიზეზიც დაემატა. კოლუმბიელმა ბურთის მგორებელმა თავის სატრფოს ამჯერად თურმე ოფიციალურად შესთავაზა ცოლობა და მისგან, რა გასაკვირია და, დადებითი პასუხიც მიიღო.

ხუან კუადრადო და მელისა ბოტერო ორ წელიწადზე მეტია, რაც ერთად ცხოვრობენ და საერთო შვილიც ჰყავთ. ეს ამბავი ისედაც საყოველთაოდ იყო ცნობილი. კუადრადოს აქამდეც ჰქონდა გაცხადებული, უახლოეს მომავალში ცოლის მოყვანას რომ აპირებდა და ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ხუჭუჭა ლათინოსმა ეს დანაპირები აასრულა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩვენი კარაბადინი

როგორ დავიცვათ თავი ინსულტისგან

საუკეთესო მკურნალობა პროფილაქტიკა რომაა, დიდი ხნის ცნობილი ამბავია და ეს ოქროს წესი, ფაქტობრივად, ერთიანად ყველა ავადმყოფობის მიმართ მოქმედებს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ინსულტი წარმოადგენს, რომელსაც უწინ ტვინში სისხლის ჩაქცევას უწოდებდნენ.

თავის ტვინის ინსულტების „ანგარიშზე“ მსოფლიოში ყოველწლიურად 6 მილიონი სიკვდილია. ამდენად, ეს დაავადება უზარმაზარ, თანაც არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სოციალურ პრობლემასაც წარმოადგენს.

თუკი წინა ათწლეულებში ადამიანთა სიკვდილის მიზეზი ხშირად მიოკარდის ინფარქტი ხდებოდა, დღესდღეობით მას დიდად გაუსწრო ინსულტმა, რომლისგანაც ორჯერ უფრო მეტი კაცი იღუპება. ბოლო წლებში შეიცვალა ავადმყოფთა ასაკობრივი მდგენელიც — ამჟამად ინსულტი ხშირად 45-55 წლის ადამიანებს მოსდით. მოსახლეობის სწორედ ამ სოციალურად აქტიური ჯგუფის



წარმომადგენელთა დაღუპვა აზარალებს ყველაზე მეტად სახელმწიფოსაც და, ცხადია, მათ ნათესავ-ახლობლებსაც. უაღრესად სამწუხაროა ისიც, რომ ინსულტის შემდეგ გადარჩენილი ადამიანებიც კი სრულ რეაბილიტაციას ყოველთვის მაინც ვერ ახერხებენ. მაგალითად, მათგან დაახლოებით 30 პროცენტი გამუდმებით საჭიროებს სხვის დახმარებას, 20 პროცენტი თავისით ვერ გადაადგილდება. ძველ სამსახურს კი პაციენტთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი უბრუნდება.

დასავლეთის ქვეყნებში გულის სისხლძარღვთა დაავადებათა შედეგად სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებია ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, კერძოდ, საფრანგეთში. სწორედ აქედან მოდის ტერმინი „ფრანგული პარადოქსი“ (რაც ღვინის საკმაოდ მაღალი მოხმარების პირობებში დაბალ სიკვდილიანობას გულისხმობს, თანაც როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში). ამიტომაც, სპეციალისტები საფრანგეთს ერთგვარ „ათვლის წერტილად“, გულის სისხლძარღვთა, მათ შორის ინფარქტებისა და ინსულტებისგან სიკვდილანობის მაჩვენებლის „ნულოვან მერიდიანად“ განიხილავენ. ამ მხრივ უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ფინეთში, სადაც სახელმწიფო დონეზე ჩატარებული პროფილაქტიკის ეროვნული პროგრამის წყალობით, ამ მიზეზით სიკვდილიანობის მაჩვენებელი 80 პროცენტით შემცირდა(!!). ამ დროს ზემოქმედებდნენ სამ უმთავრეს რისკ-ფაქტორზე: **არტერიულ ჰიპერტონიაზე, ქოლესტერინის მაღალ დონესა და თამბაქოს მოწევაზე.**

უწინ დიაგნოზი „ინსულტი“, არსებითად, განაჩენის ტოლფასი იყო. დღესდღეობით, საბედნიეროდ, ასე არ არის, მაგრამ გულდამშვიდებით ყოფნა ნამდვილად არ შეიძლება: **მთავარია ეგრეთ წოდებულ „თერაპიულ ფანჯარაში“ მოხვედრა (ანუ დაწყებული იმ მომენტიდან, როცა იწყება თავის ტვინის ჟანგბადური შიმშილობა, ვიდრე იქამდე, სანამ შეუქცევადი ცვლილებები დაიწყებოდეს), რა დროშიც გაწეული სამედიცინო დახმარება ინსულტს შემდგომი განვითარების საშუალებას არ აძლევს. თუკი „სასწრაფო დახმარებას“ ავადმყოფი სტაციონარში დაავადების დაწყების პირველი ნიშნების გაჩენიდან სამ საათში მიჰყავს, მაშინ იშემიური ინსულტის მქონე პაციენტს, სწრაფი დიაგნოსტირების (კერძოდ, კომპიუტერული ან მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის შედეგების მიხედვით, რომელსაც სტაციონარში სასწრაფოდ უკეთებენ) შემდეგ ვენაში ტრომბის გამხსნელ წამალს უკეთებენ. ამ შემთხვევაში კაცი გამოჯანმრთელდება და ინსულტის შედეგებს, ფაქტობრივად, ვერ იგრძნობს.**

ამდენად, უმჯობესია, ავადმყოფი სტაციონარში ინსულტის განვითარების დაწყებიდან პირველი სამი საათის განმავლობაში მოხვდეს, **მათთვის კი, ვინც ამის გაკეთებას ვერ მოასწრებს, არის კიდევ დაახლოებით სამი სარეზერვო საათი, რომელთა განმავლობაში ტრომბის დაშლა ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის.** სამწუხაროდ, ბევრნი სამედიცინო დახმარებისთვის ექიმებს დიდი დაგვიანებით მიმართავენ. ამ შემთხვევაში კი ინსულტის გადატანის შანსი ყოველგვარი შედეგების გარეშე ავადმყოფს, ფაქტობრივად, არა აქვს.

დაიმახსოვრეთ!

თავის ტვინის ინსულტის რისკი-ფაქტორებია:

- არტერიული ჰიპერტონია;
- თამბაქოს მოწევა;
- არაჯანსაღი კვება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება;
- დაბალი ფიზიკური აქტივობა;
- ჭარბი წონა;
- შაქრის დიაბეტი;
- სტრესები;
- არსებობს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი სამედიცინო ფაქტორი, კერძოდ, განსაკუთრებული, ეგრეთ წოდებული „გულისწინა პარკუჭების ფიბრილაციური არითმია“. ამ პათოლოგიის დროს ინსულტის საფრთხე ხუთჯერ მატულობს, იზრდება უეცარი სიკვდილის რისკიც. ამიტომაც, თუკი კაცი გულის მუშაობაში შეფერხებებს იგრძნობს, მან აუცილებლად უნდა გადაიღოს კარდიოგრამა. ხოლო მათ, ვისაც გულისწინა პარკუჭების ფიბრილაცია აღენიშნებათ, სისხლის გამთხელებელი აბები რეგულარულად უნდა სვან, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია!

როგორ გამოვიცნოთ ინსულტი?

თავის ტვინის ინსულტის ნიშნებია:

- მოულოდნელად გაურკვევლად მეტყველწების დაწყება, კაცი მის მიმართ ნათქვამ სიტყვებს ვერ იგებს;
- ჩამოეწია პირის კუთხე;
- თვალებში გაორება დაიწყო;
- წარმოიშვა მკვეთრი თავის ტკივილი;
- ხელში ან ფეხში სისუსტე იგრძნო;

რა დახმარების გაწევა შეუძლიათ გარშემო მყოფთ?

ადამიანებს ხშირად თავადაც არ ესმით, რომ რაღაც ემართებათ. ამ დროს მათი დახმარება გარშემო მყოფთ შეუძლიათ. მაგალითად, მოსკოვის ოლქში აამოქმედეს პროგრამა „УДАР“, რომელიც გარშემო მყოფებს ინსულტის გამოცნობაში ეხმარება. სიტყვის თითოეული ასო კარნახს შეიცავს:

У — „улыбка“ („ღიმილი“). საჭიროა კაცს გაღიმება სთხოვოთ. ინსულტის დროს ღიმილი ასიმეტრიული იქნება.

Д — „движение“ („მოძრაობა“). კაცს ორივე ხელის წინ წაწევა და ასე გაჩერება უნდა სთხოვოთ. ინსულტის დროს იგი ამის გაკეთებას ვერ შეძლებს.

А — „афазия“ („მეტყველების დრღვევა“). კაცს წინადადების წარმოთქმა უნდა სთხოვოთ. გაურკვეველი მეტყველება იმას მოწმობს, რომ თავის ტვინის სისხლძარღვები, შესაძლოა, იშემიას განიცდიან.

Р — „решение“ („გადაწყვეტილება“). ამ შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილებაა „სასწრაფო დახმარების“ დროულად გამოძახება.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

სანთელი

მაია მაჭავარიანი

2016 წლის 16 ოქტომბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიის დოქტორი, ქართული საენათმეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი მაია მაჭავარიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა თეორიული ენათმეცნიერებისა და ქართული ენის საკითხების კვლევის საქმეში.

მაია მაჭავარიანი დაიბადა 1926 წლის 28 ოქტომბერს თბილისში. იგი აღიზარდა ჩვენს საზოგადოებაში გამორჩეულ ოჯახში: მამა — პროფ. ვლადიმერ მაჭავარიანი, ევროპული ლიტერატურის სპეციალისტი იყო, დედა — ალექსანდრა (შურა) თოიძე, ცნობილი მსახიობი (თოიძეთა სახელოვანი ოჯახის წარმომადგენელი). 1944-49 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში (ხელმძღვანელი — აკად. არნ. ჩიქობავა). 1959 წელს მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე „ლოკისა და ლაიბნიცის ნააზრევი ენის შესახებ“. 1956 წლიდან იგი მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში.

მაია მაჭავარიანი 60-ზე მეტი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა სამეცნიერო ასპარეზზე და მაღალი დონის მრავალი ნაშრომით გაამდიდრა ქართული ენათმეცნიერება. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ენის ფილოსოფიის ურთულეს საკითხებზე, ასევე წარმატებით იკვლევდა არანაკლებ საინტერესო პრობლემებს ენის ფორმალიზაციის, მოდელირებისა და კოდირების საკითხებთან დაკავშირებით. მაია მაჭავარიანმა კრიტიკულად შეისწავლა თანამედროვე ენათმეცნიერებაში წარმოდგენილი არაერთი მნიშვნელოვანი თეორია და, რაც მთავარია, ამ თეორიათა საფუძველზე გააანალიზა ქართული ენის მასალა, ახლებურად წარმოადგინა ქართული ენის ზოგი თავისებურება. წარუვალი მნიშვნელობისაა მისი მონოგრაფიები და კრებულები, რომლებიც ბევრი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაააზრევისა და სიახლის შემცველია, ესენია: „ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა“ (1987წ.); „გზა ენისაკენ“ (1998 წ.); „ენა და საზრისი“ (2000 წ.) და სხვ.

მაია მაჭავარიანი მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მონაწილე იყო და ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას ღრმა და საინტერესო მოხსენებებით. იყო კამათის გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება და სხვათა თვალსაზრისების პირუთვნელი შემფასებელი.

მაია მაჭავარიანი 1990 წლიდან 2006 წლამდე უნარიანად უძღვებოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებას. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა არაერთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. რედაქტორობდა სამეცნიერო კრებულებს „ გზა ენისაკენ“ და „ენა და საზრისი“, რომელთაც სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

მაია მაჭავარიანი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. აინტერესებდა ქვეყნისათვის საჭირბოროტო ყველა საკითხი. იყო 1990 წლის პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის (უზენაესი საბჭოს) აქტიური წევრი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი.

მაია მაჭავარიანმა, როგორც სიახლეთა მუდმივად მაძიებელმა და ნაყოფიერმა მკვლევარმა, ნათელი კვალი დატოვა ქართულ ენათმეცნიერებაში.

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

◎ ინფორმაცია

კეთილმოწყობილი ქუჩები - ნაძალადევს

ნაძალადევის რაიონში ოთხ ქუჩაზე საგზაო სამუშაოები დასრულდა. ინანიშვილის, იმერეთის, დაისის ქუჩებსა და ღრმაღელეს I შესახვევში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ ბიუჯეტიდან 527 281 ლარი გამოყო. ოთხივე ქუჩის საერთო ფართობი 9 455 კვ.მ.-ია.

რეაბილიტირებული ქუჩები ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დავით გოგიძემ მოინახულა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

„ნაძალადევში ბევრია ისეთი ქუჩა, სადაც 40-50 წელია, ასფალტის საფარი არ დაგებულა. სწორედ ასეთ ქუჩებს ვაკეთებთ კაპიტალურად. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია,“ — განაცხადა დავით გოგიძემ.

განახლებულ ქუჩებზე გზის საფარის რეაბილიტაციამდე გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციების სისტემა. დაისის ქუჩასა და დაისის I და II შესახვევში კი წყალსადენის ქსელის ამორტიზებული მონაკვეთები შეკეთდა. რაც შეეხება ინანიშვილის ქუჩას, საგზაო სამუშაოების დაწყებამდე 83 მ სიგრძის გზის დამჭერი საყრდენი კედელი აშენდა, რომლის ღირებულებამაც 303 988 ლარი შეადგინა. კედლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ქუჩაზე დაიგო ასფალტის საფარი.

დაიხსომეთ ეს სახელი – დავით ხრიკული



მაესტრო რევაზ თავაძე და შეგირდი დავით ხრიკული

2016 წლის 29 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გაიმართა არტურ რუბინშტეინის სახელობის დიდი საერთაშორისო კონკურსი 18 წლამდე პიანისტთა შორის. ამ მაღალპრესტიჟული შეჯიბრებისათვის ცოცხალი საკონცერტო შესრულებებზე დაყრდნობით 130-ზე მეტი მსურველისაგან გადაირჩა 30 პიანისტი 13 ქვეყნიდან. მათ შორის მოხვდა უნიჭიერესი ქართველი პიანისტი დავით ხრიკული, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. „ნიჭიერთა ათწლედის“ მეათე კლასის მოსწავლე (პედაგოგი – პროფესორი რევაზ თავაძე).

პირველი ტურის შემდეგ, ნახევარფინალში, 12 საუკეთესოთა შორის აღმოჩნდნენ 5 ჩინელი, 4 სამხრეთკორეელი, თითო-თითო წარმომადგენელი რუსეთიდან, ისრაელიდან და დავით ხრიკული საქართველოდან.

დავითის გამოსვლა ამ ტურში იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ის არა მარტო გავიდა ფინალში სხვა ორ პიანისტთან ერთად, არამედ მოიპოვა ძალზედ პრესტიჟული სპეციალური პრიზი შუბერტის მუსიკის შესრულებისათვის.

დავით ხრიკულმა მოიპოვა ამ მაღალპრესტიჟული კონკურსის ლაურეატის წოდება (ბრინჯაოს მედალი), და რაც მთავარია, უაღრესად ავტორიტეტული ჟიურის დიდი სიმპათიები, რასაც ადასტურებს რამდენიმე დღის წინ დავითის მიერ მიღებული ხმოვანი წერილი კონკურსის ჟიურის თავმჯდომარისგან, ცნობილ ისრაელელ მუსიკოსისგან არი ვარდისგან, მეტად საინტერესო შეთავაზებებით, რომლის შესახებაც მომავალში გაუწყებთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა სახელით ვულოცავთ დავით ხრიკულს, მის მასწავლებელს, პროფესორ რევაზ თავაძეს, თბილისის ფალიაშვილის სახელობის „ნიჭიერთა ათლწედს“ და საქართველოს მთელ მუსიკალურ საზოგადოებას ამ მნიშვნელოვან წარმატებას.

რუსუდან შავლიაშვილი

◎ ანეკდოტები

ტერორისტებმა ხელთ იგდეს ღვინის ქარხანა და უკვე ერთი თვეა საკუთარი მოთხოვნების ჩამოყალიბებას ვერ ახერხებენ.

* * *

იმისათვის, რომ ქალი მართო, ქვეყანაზე ორად-ორი ხერხი

არსებობს. მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ ამ ორი ხერხიდან არც ერთი ცივილიზებული კაცობრიობისთვის ცნობილი არ არის.

* * *

ჯალათი ეუბნება სიკვდილმისჯილს:

— დაუსტვინე ერთი, თუ კაცი ხარ, თორემ ძალიან ცუდად ვხედავ, თავი სადა გაქვს, ვერ ვარჩევ!..“

* * *

სასარგებლო რჩევები.

მობილური ტელეფონით ყველაზე სარგებლიანი SMS-შეტყობინებაა: „ძვირფასო, გზაში ვარ, ვიქნები 15 წუთში... თუ მანამდე არ მოვედი, ეს შეტყობინება გადაიკითხე“.

* * *

ძმაკაცები ლაპარაკობენ:

— მე ფეხბურთზე საერთოდ არ დავდივარ, ცოლი დალევას არც სახლში არ მიშლის...

* * *

დილაა. ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკის ეზოში ახალგაზრდა სანიტარი გოგონა გამოდის, რომელსაც ხელში სამედიცინო ტაშტი უკავია, სადაც რაღაც-რაღაცები აწყვია. მას უკან კუდის ქიცინით რამდენიმე ეზოს ძაღლი მოსდევს. ქალიშვილი მათ მოხედავს და გაღიზიანებული ეუბნება:

— წადით, მომშორდით, დღეს თქვენთვის არაფერი არ არის!..

◎ მსოფლიოს სიახლენი

რონალდოს ბუდას შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ



პორტუგალიის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის რეალის თავდამსხმელი კრისტიანო რონალდო სოციალური ქსელების ანტიგმირი გახდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პორტუგალიელმა საკუთარ გვერდზე სკანდალური ფოტო დადო. რონალდო ბუდას ქანდაკებასთან პოზირებს. ფეხბურთელს ფეხი სკულპტურაზე აქვს დადებული. ამის გამო მას სოციალური ქსელების მომხმარებლები რელიგიური სიწმინდეების უპატივცემულობაში ადანაშაულებენ.

მექსიკაში კეთილი კლოუნების აქცია გაიმართა

„ჩვენ კლოუნები ვართ და არა მკვლელები!“ – აქცია ამ სახელწოდებით მეხიკოს ცენტრში პროფესიონალმა მასხარებმა გამართეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კლოუნების ფორმებში გამოწყობილმა ბოროტმოქმედებმა მექსიკაში რამდენიმე ადამიანი გაძარცვეს. ბოროტი კლოუნების გახშირებულმა თავდასხმებმა ადგილობრივები მასხარების მიმართ ნეგატიურად განაწყო.

ტრამპს სექსუალურ ძალადობაში კიდევ ერთი ქალი ადანაშაულებს

დონალდ ტრამპი მორიგ სკანდალში გაეხვა. სექსუალურ ძალადობაში მას კიდევ ერთი ქალი ადანაშაულებს. „მე ის ისე მექცეოდა, თითქოს ადამიანი კი არა, უბრალო საგანი ვიყავი. ეს ძალიან შეურაცხმყოფელი იყო,“ – აცხადებს 45 წლის კარენა ვირჯინია. ის უკვე მეათე ქალბატონია, ვინც პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატი ძალადობაში ამხილა.

კატალონიაში კორიდას აღადგენენ

მადრიდსა და ბარსელონას შორის ისევ კონფლიქტია, თუმცა ამჯერად მიზეზი კორიდაა. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ კატალონიის პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტი გააუქმა, რომელიც რეგიონში ხარების ბრძოლას

კრძალავდა. კატალონიაში აცხადებენ, რომ ავტონომიური ოლქის მოსახლეობას სისხლიანი სანახაობის ყურება არ სურს და ისეთ ქვეყნაში სურთ იცხოვრონ, სადაც ცხოველებს გართობის მიზნით არ კლავენ. სასამართლოს გადაწყვეტილებას ცხოველთა უფლებების დამცველებიც გამოეხმაურენ და კორიდის აკრძალვა მოითხოვეს.

თურქებმა სირიაში 40-მდე ობიექტი დაბომბეს

თურქეთმა ოპერაცია „ევფრატის ფარის“ ფარგლებში ისლამური სახელმწიფოს 40-მდე ობიექტი გაანადგურა. ამის შესახებ თურქეთის არმიის გენერალური შტაბი იტყობინება. ავიადარტყმები ქურთული დაჯგუფებების პოზიციებზეც განხორციელდა. დაზუსტებული ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არ გავრცელებულა. სირიის ტერიტორიაზე თურქეთის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციების გამო დამასკო ანკარას პროტესტს უცხადებს და თურქული თვითმფრინავების ჩამოგდებით იმუქრება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3699; ევრო - 2.6007;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9074;
100 რუბლი - 3.7939; თურქული ლირა - 0.7714;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4679;
1000 სომხური დრამი - 4.9819.

ამინდი 22 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3,	დღე +12
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +14
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +20
თბილისი:	ღამე +8,	დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE